

მარიამ მეუღლავიშვილი, თამარ სატიაშვილი,
თამარ ჩხილვაძე

მოქალაქეობა 10 მოსწავლის ციმი

I სემასტრი



ეპიგრაფი

მარიამ მკალავიშვილი, თამარ ხატიაშვილი,
თამარ ჩხილაძე

მოქალაქეობა

X პლასი

მოსწავლის წიგნი

| სემესტრი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მიერ 2022 წელს



ა(ა)იპ „ეპიგრაფი“

ავტორები: მარიამ მკალავიშვილი, თამარ ხატიაშვილი, თამარ ჩხილაძე.

მოქალაქეობა, X კლასი

მოსწავლის წიგნი

რედაქტორი: ხათუნა სიდამონიძე

დიზაინერი: ნინო მკალავიშვილი

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: ლია არევაძე

პირველი გამოცემა

© გამომცემლობა ა(ა)იპ “ეპიგრაფი”, 2022

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-4508-6

გამომცემლობა ა(ა)იპ “ეპიგრაფი”

მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ირ.ევდოშვილის ქ. 18, ბ. 168

ტელეფონი: (+995) 555 004 227

ელ. ფოსტა: geo.epigraphi@gmail.com

ვებ.გვერდი: www.epigraphi.ge

სარჩევი

შესავალი.....	4
სახელმძღვანელოში გამოყენებული ნიშვნები	5
თავი I. გლობალური მოქალაკეობა	6
მოქალაკეობა ანტიურ ხარაჭი.....	7
კომპლექსური დავალება 1	8
§ 1. მოქალაკეობა ანტიურ საბერძნეთსა და რომელი.....	10
მოქალაკეობის კოცეფიციის განვითარება	18
კომპლექსური დავალება 2	19
§ 2 მოქალაკეობა რომის იმპარიიდან	
თანამედროვეობა.....	21
§ 3. მოქალაკეობა თანამედროვე სახელმიწოდი	26
§ 4. მოქალაკეობა თანამედროვე საკართველოში	35
სამშობლო დედამიწა	45
კომპლექსური დავალება 3	46
§ 5. მსოფლიო მოქალაკა და გლობალური მოქალაკეობა	48
§ 6. მოქალაკის გლობალური პასუხისმგებლობები	
მსოფლიო მშვიდობისთვის	56
§ 7. გლობალური მოქალაკეობა მდგრადი	
განვითარებისთვის.....	64
გზა გლობალური მოქალაკეობისკენ.....	76
კომპლექსური დავალება 4	77
§ 8 „მე ვარ ქართველი და მავასადამა ვარ ევროპელი“.....	80
§ 9. ციფრული მოქალაკეობა და მისი მნიშვნელობა	
გლობალიზაციის პროცესში	89
§10 როგორ გავცვალოთ მსოფლიო უკათასობისკენ	102
გლობალური მოქალაკეობრივი კომარტიციების	
თვითმევასება	109
დანართი	111
ლექსიკონ	117
გამოყენებული ლიტერატურა და ციტაციები	119

შესავალი

„სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამც თუ სვე-ბედი მარტო მომავლის თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავალის თაობის კუთვნილია და, მაშასადამე, მის ხელთ იქმნება“.

ილია ჭავჭავაძე.

„რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონიერივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას“.

ვაჟა-ფშაველა

თითოეული ჩვენგანი კონკრეტული ერის შვილები და ასევე კონკრეტული სახელმწიფოს / ქვეყნის მოქალაქეები ვართ, მაგრამ, ამასთან ერთად, მთელი მსოფლიოს ნაწილს წარმოვადგენთ, დედამიწა ყველას საერთო სახლია. ადამიანი, რომელიც საკუთარ სამშობლოს ემსახურება, იღვნის საკუთარი ქვეყნის წინსვლისთვის, განვითარებისთვის, ის მთელი კაცობრიობისთვის ზრუნავს, რადგან ერთი მთელის ნაწილია, მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი. იმისთვის, რომ ეს შევიგრძნოთ, უნდა გავაცნობიეროთ საკუთარი იდენტობა და ადგილი მსოფლიოში, შემდეგ კი დავადგეთ გზას პიროვნული განვითარებიდან გლობალური მოქალაქეობისკენ.

მოგვყევით ჩვენ და ამ სახელმძღვანელოს საშუალებით თქვენ შეძლებთ გაიაზროთ გლობალური მოქალაქეობის არსებითი ფაქტორები, დაუკავშიროთ თქვენი სოციალური უნარები გლობალური მოქალაქეობის მახასიათებლებსა და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს, გლობალური მოქალაქეის თვალსაწიერიდან გამოკვეთოთ აქტუალური პრობლემები და შეარჩიოთ მათი გადაჭრის გზები, დემოკრატიის პრინციპების ჭრილ-ში გაანალიზოთ სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებლები, მართლმსაჯულების სისტემა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები. რაც მთავარია, დაისახოთ მიზნები მდგრადი განვითარებისთვის და, გადადგათ პირველი ნაბიჯები, როგორც მსოფლიო მოქალაქეებმა, რათა თქვენი წვლილი შეიტანოთ ჩვენი ქვეყნისა და მთელი პლანეტის უკეთესი მომავლის შენების საქმეში.

გისურვებთ წარმატებებს!

სახელმძღვანელოში გამოყვანისული ნიშნები:



იმუშავე ინდივიდუალურად



დისკუსია



უპასუხე კითხვებს:



იმუშავეთ ჯგუფებში



იმუშავეთ წყვილებში



საშინაო დავალება



იმსჯელე



კითხვები დოკუმენტური მასალის შესახებ



დავალება („დაფიქრდი“, „აღწერე“, „შეადარე“, „გაეცანი“ და სხვ.)



კითხვები თვითშეფასებისთვის

თავი I

გლობალური
მოქალაქეობა


მოქალაქეობა ანტიკურ ხანაში



კომპლექსური დავალება 1

გაიხსენეთ:

- რა იცით ანტიკური ხანის საპერძნეთსა და რომზე?
- რომელ მოაზროვნებს იცნობთ ანტიკური ხანიდან?
- რა როლი ითამაშა ანტიკური ხანის სოციალურმა, პოლიტიკურმა თუ კულტურულმა პროცესებმა დემოკრატიის/კაცობრიობის განვითარებაში?
- ანტიკური ეპოქის ამსახველ რომელ ფილმებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებს გაიხსენებთ?



ეზოპე (ცნობილი მეიგავე, ცხოვრობდა VI ს. ჩვ. წთ-მდე, ეზოპემ დაწერა 400-მდე იგავ-არაკი) წარმოშობით ფრიგიელი იყო, მონად დაბადებული. დიდად აფასებდა თურმე ქსენფი, თავადაც ფილოსოფოსი და მოაზროვნე, თავისი მონის გამჭრიახობას. თანასწორივით ჰკითხავდა ხოლმე რჩევას ეზოპეს და ისიც თანასწორივით პასუხობდა. კუზიანი, შეუხედავი, უუფლებო და უპოვარი მონა გასამრჯელოდ მხოლოდ თავისუფლებას ითხოვდა, თუმცა სულ ამაღლ.

ერთხელ ეზოპე და მისი პატრონი განძს წააწყდნენ. ქსენფი განძის ნახევარსა და თავისუფლებას შეჰპირდა მონას, მაგრამ შემდეგ სიხარბემ სძლია, ნაპოვნი რომ გავუყო, ხალხს შემიყრის და ამ ქვეყნის მმართველი ყელაფერს წაგვართმევსო.

-არ მინდა შენი ოქრო, მხოლოდ თავისუფლება მიბოძე, - ისევ სთხოვა ეზოპემ.

-ვფიცავ ზევსს, ასეთ ბრძენს და ღირსეულს, ვერაფრით შეგელევიო.

-ნებით არ გამიშვებ, ჩემით წავალ, - შეესიტყვა მონა პატრონს.

-ხმა ჩაიწყვიტე, არარაობავ, არაფრის მქონეს ეს თავისუფლება რაღად გინდა?!-განრისხდა ქსენფი.



ფორტუნატა

I და II საუკუნეებში რომის იმპერია გადაჭიმულია ხმელთაშუა ზღვის აუზზე. თითქმის ყველა სახის შრომას, ქალაქება თუ სოფელში, მონები ასრულებენ. პატრონები სასტიკად ეპყრობიან მათ და კანონით არ არიან შეზღუდულნი.

ფორტუნატა, მონა ქალი, მუშაობს სიცილიაში ზეთისხილის ფერმაში. იგი გერმანიის ერთ-ერთ პროვინციაში დაატყვევეს. ფორტუნატა სხვა მონებთან ერთად იღებს ზეთისხილის მოსავალს ბალებში. ზეთისხილისგან ამზადებენ ზეითუნის ზეთს, რომელიც იგზავნება მთელ იმპერიაში და მის ფარგლებს გარეთ. ცოტა ხნის წინ ფორტუნატას პატარა შვილი ავად გაუხდა, მაგრამ პატრონმა აიძულა, შინ დაეტოვებინა ბავშვი და მაინც გასულიყო სამუშაოდ. სამუშაოდან დაბრუნებულს ბავშვი გარდაცვლილი დახვდა.



კალიქსტო კრეტელი (კუნძული საბერძნეთში), ერთ-ერთი პოლისის მცხოვრები. ქალაქის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენებ თავისუფალი ხელოსნები, ფერმერები, ვაჭრები, მეზღვაურები. კალიქსტოც ხელოსანა, თიხის ჭურჭელს ამზადებს. მისი ნამუშევრები განსაკუთრებულ მონონებას იმსახურებს, სწრაფადვე იყიდება და პატრიციების სასახლეებს ამშვენებს. კალიქსტოს ორი ვაჟი ჰყავს. უფროსმა მამის ხელობას მიჰყო ხელი, მეორემ კი მეზღვაურობა არჩია. მამა ზრუნავს შვილებზე და იმედი აქვს, დაუფასდება.



კვინტუს ვალერიუს სეკუნდუსი

რომის ძლიერმა არმიამ დაიპყრო თითქმის მთელი სამხრეთ ევროპა და ხმელთაშუა ზღვის აუზი. **კვინტუსი**, დგას ვინდილანდაში, რომის პროვინციაში, ბრიტანეთში. მისი ძმები, ასევე ჯარისკაცები, გაფანტულები არიან მთელ იმპერიაში – ერთი გალიაში, მეორე ესპანეთში, ხოლო მესამე გერმანიაში. წლები ისე გადის, ერთმანეთს ვერ ნახულობენ ძმები და, რაც მთავარია, საკუთარ ოჯახებს არიან მოწვეტილი. შვილები მამის გარეშე იზრდებიან და კვინტუსმა არც კი იცის, თუ ელირსება მათი ნახვა.

კომპლექსური დავალების პირობა

გაეცანით სხვადასხვა სოციალური ფენის ბერძენ და რომაელთა ცხოვრებისეულ ეპიზოდებს. მოირგეთ ერთ-ერთი მათგანის როლი (ბერძენი მეიგავის – ეზოპეს, კალიქსტო კრეტელის, მონა ფორტუნატასა და ჯარისკაცი კვინტუს ვალერიუსის) და არჩეული პერსპექტივიდან მისწერეთ წერილი მეგობარს, ან კომიქსით მოუყვევით ამბავი, რომელშიც თამამად გამოხატავთ თქვენ აზრს ადამიანის უფლებების და პიროვნული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორი იყო საბერძნეთში/რომში არსებული სოციალური ფენების უფლება-მოვალეობები და როგორ შეესაბამება ეს უფლება-მოვალეობები დემოკრატიის პრინციპებს.
- საბერძნეთის/რომის რომელი კანონები იცავს ან ზღუდავს თქვენ მიერ შერჩეული პირის უფლებებს.
- აქვს თუ არა თქვენ მიერ შერჩეულ ადამიანს პიროვნული განვითარების შესაძლებლობა საბერძნეთის/რომის საზოგადოებაში.



რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

მოსაზრებები ჩაინიშნეთ მოცემულ სქემაში (სქემა გადაიტანეთ რვეულში)

რა ვიცი საკითხთან დაკავშირდებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?
ა რ	ჩ ა წ ე რ ო	წ ი გ ნ შ ი !

საკვანძო შეკითხვა:

როგორ აღვწერო წერილში/კომიქსში ანტიკური ეპოქის ცხოვრება და მოქალაქეობის გაგება?

§ 1. მოქალაქეობა ანტიკურ საბერძნეთსა და რომში

წინარე ცოდნის გაქტიურებისთვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- გაიხსენეთ რას ნიშნავს ტერ-
მინი „მოქალაქე“?
- რა თვისებებით გამოიჩინა
აქტიური მოქალაქე?



ლიკა
მალე მეც სრულწლოვანი გავხდები და სრულუფლები-
ანი მოქალაქის სტატუსასაც მივიღებ. ბოლო ხანებში დავინ-
ტერესდი დემოკრატიის სათავეებითა და მოქალაქის უფლე-
ბებით და აი, რა აღმოვაჩინე: **მოქალაქის ცნება პირველად**
თურმე ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფო ათენში გაჩნდა
და შემდეგ გავრცელებულა სხვა ქალაქ-სახელმწიფოებშიც. ეს
ცნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას
აღნიშნავდა.

ძველ საბერძნეთში ჩაეყარა თურმე საფუძველი სახელმწიფოს დემოკრატიულ მმართ-
ველობას, რომელშიც მოქალაქეები თანაბარი შესაძლებლობებითა და პასუხისმგებლო-
ბებით იღებდნენ მონაწილეობას. ძველ საბერძნეთში მოქალაქეები თანასწორნი ყოფილან
კანონის წინაშე. უფრო მეტიც, მოქალაქეთა რაოდენობა იმდენად მცირე იყო, რომ წარ-
მომადგენლების არჩევა აღარ იყო საჭირო,
ყველა მოქალაქე უშუალოდ იყო ჩართული
გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მო-
ქალაქეები იკრიბებოდნენ საზოგადოებრივი
თავშეყრის ადგილებში და კამათობდნენ სახ-
ელმწიფოებრივ მოწყობაზე, კანონის შეცვლაზე
ან მიღებაზე და ნებისმიერ სხვა მნიშვნელოვან
საკითხზე, დღეს კი ამისთვის არჩევნებს ვა-
ტარებთ და დეპუტატებს ვირჩევთ.



გუკა

მართალი ხარ ლიკა, საინტერესოა მოქალაქეობის ისტო-
რია. ერთი შეხედვით, ძველი საბერძნეთის მაგალითი სანიმუშოა,
თუმცა მოქალაქის სტატუსი ენიჭებოდათ მხოლოდ ადგილობრივ,
გარკვეული სოციალური ფენის წარმომადგენელ მამაკაცებს, რომ-
ლებიც ფლობდნენ ქონებას, ხოლო ქალები, უცხოელები და მონე-
ბი ამ სტატუსს ვერ იღებდნენ. შესაბამისად, ისინი ვერც მონაწ-
ილეობდნენ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმეებში. ესლა
კი ყველაფერი სხვაგვარადაა, მონები აღარ არსებობენ, ქალებსა და
მამაკაცებს კი ერთხაირი უფლებები აქვთ, მათ შორის მოქალაქეო-
ბის უფლებაც.



უპასუხე კითხვას:

თქვენი აზრით, რა კითხვები გაუჩნდებოდა ლიკას გუკას პასუხის შემდეგ?

მოქალაქე ანტიკურ საბერძნეთში


მოქალაქეობის კონცეფციის იდეა პირველად ანტიკური ეპოქის ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოში – ათენში გაჩნდა. აქვე ჩაეყარა საფუძველი დემოკრატიას – დაიწერა პირველი კანონები, რომლებითაც განისაზღვრა ათენის მოქალაქის უფლებები და ვალ-დებულებები.

ათენური დემოკრატია (ძველბერძნული დე-მოკრატია) პირდაპირი დემოკრატია იყო. იქ მოქალაქეები უშუალოდ, შუამავლების (წარმომადგენლების) გარეშე იღებდნენ გადაწყვეტილებას სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. სახალხო კრებებში მონაწილეობა ათენის მოქალაქის (18-დან 60 წლამდე მამაკაცის) სამოქალაქო ვალი იყო. ლირსების საქმე იყო სახალხო კრებებზე საკუთარი აზრის გამოთქმა და ათენის მართვაში წვლილის შეტანა.

არქონტი – ისტ.

Gk. archōn (archōntos) –

„მმართველი, უფროსი“
უმაღლესი თანამდებობის პირი
ძველ საბერძნეთში, ათენში.



ათენის არქონტის – სოლონის (ძ.წ. 638-558 წ.წ.) მიერ შექმნილი კანონმდებლობით გაუქმდა კანონი, რომლის მიხედვითაც, ლარიბი მოქალაქე შეიძლებოდა მონად გაყიდულიყო. სოლონმა აკრძალა ბერძენი მოქალაქის მიერ მასთან ვალში მყოფი ბერძნის მონად გაყიდვა და ყველა მონად გაყიდული ბერძენი სამშობლოში დააბრუნა.

მან გააუქმა მძიმე სასჯელა მცირე დანაშაულების ჩადენისთვის. სიკვდილით დასჯა კი მხოლოდ ძალიან მძიმე დანაშაულის დროს ხდებოდა. სოლონის რჩევით, სახალხო კრებაზე დამტკიცდა წესი, რომლის მიხედვით ყველა ათენელს შეეძლო სამართლის ძიება სასამართლოში.

სოლონის კანონის შესაბამისად, იმ ათენის მოქალაქეებს, რომელიც სახელმწიფოს შეგნით მიმდინარე მდელვარების – შიდა დაპირისპირების დროს, არცერთ მხარეს არ მიემხრობოდა, ჩამოერთმევოდა მოქალაქის უფლება. სოლონის წესის მიხედვით, ყველა მშობელი ვალდებული იყო შვილისათვის რამე ხელობა ესწავლებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შვილს შეეძლო უარი ეთქვა მამის რჩენაზე.

სოლონმა მოქალაქეები მათი ქონების მიხედვით დაყო თოხ ჯგუფად. მათ მიანიჭა უფლებები და ასევე განუსაზღვრა მოვალეობები:

I – მსხვილი მონათმულობელები, მსხვილი ვაჭრები:

უფლებები: მაღალი თანამდებობის დაკავება

მოვალეობები: სახელმწიფოსთვის მაღალი გადასახადების გადახდა

II – შეძლებული გლეხობა და ვაჭრები:

უფლებები: სამუალო დონის თანამდებობის დაკავება

მოვალეობები: ცხენოსან ჯარში სამსახური

III – ლარიბი გლეხობა, ხელოსნები და მეთევზები:

უფლებები: სახალხო კრებაში მონაწილეობა

მოვალეობები: ფეხოსან ჯარში სამსახური


IV – დაქირავებული მუშები:

უფლებები: უუფლებოები

მოვალეობები: მეზღვაურებად და მსუბუქად აღჭურვილ ჯარისკაცებად სამსახური.

თავი 1 გლობალური მოქალაქეობა

ათენის მოქალაქეობა განისაზღვრებოდა სამი ძირითადი კრიტერიუმით: 1. ფლობდა სახნავ-სათეს მინას; 2. მონაწილეობას იღებდა ქალაქის მართვაში; 3. იცავდა ათენს სამხედრო სამსახურში მონაწილეობის გზით. რომელიმე ერთის არქონა მას ართმევდა მოქალაქეობის უფლებას. ათენის მოქალაქე თავისუფალი ადამიანი უნდა ყოფილიყო.



„მოქალაქის ცნება იმაზე უკეთ ვერ განისაზღვრება, თუ არა სასამართლოსა და სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება.“

არისტოტელე
(ძვ.წ. 384 – ძვ.წ. 322)
ძველი საბერძნეთის
სწავლული-ფილოსოფოსი

საბერძნეთი ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო არასდროს ყოფილა. ბევრ ელინს (არაათენელს) უნდოდა ათენის მოქალაქეობა, რათა ესარგებლა იმ კეთილდღეობით, რასაც ათენის მცხოვრებლებმა მიაღწიეს. სწორედ ამ გარემოებისგან თავის დასაცავად, ათენის არქონტის და სტრატეგოსის პერიკლეს ინიციატივით, ძვ.წ. 451 წელს მიიღეს „კანონი წმინდა მოქალაქეობის შესახებ“, რომლის თანახმად, ათენის მოქალაქე შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ის მამაკაცი, რომლის ორივე მმოქელი ათენელი იყო. თავად პერიკლეს შვილებმაც კი ვერ მოიპოვეს ათენის მოქალაქის სტატუსი, რადგან დედა არაათენელი ჰყავდათ.




იმსჯელეთ:

რა ფაქტორების გამო იყო შეუძლებელი ათენის მოქალაქედ გახდომა?

არისტოტელე თავის ნაშრომში „პოლიტიკა“ წერს:

„... სახელმწიფო არის მრავალი ნაწილისგან შედგენილი ერთი მთელი. რადგან სახელმწიფო შედგება მოქალაქეთა სიმრავლისგან, ამიტომ, პირველ რიგში, უნდა ვიკვლიოთ, თუ ვინ არის მოქალაქე და ვის უნდა ვუწოდოთ ეს სახელი. ამ საკითხზე ხშირად დაობენ, რადგან, ვინც დემოკრატიაში მოქალაქედ ითვლება, ოლიგარქიაში არ არის მოქალაქე... არც ისაა მოქალაქე, ვინც სახელმწიფოში მხოლოდ ცხოვრობს, მაგალითად, მეტეკები და მონები, რომლებსაც მოქალაქეებთან საერთო საცხოვრებელი აქვთ. მოქალაქედ არ მიიჩნევიან ასევე ბავშვები: არასრულწლოვანობის გამო არ არიან შეყვანილნი მოქალაქეთა სიაში და მოხუცები, რომლებიც გათავისუფლებული არიან მოქალაქის მოვალეობებისგან.“



გაეცანით ამონარიდს არისტოტელეს ნაშრომიდან „პოლიტიკა“ და იმსჯელეთ:

- რა უფლებები და მოვალეობები ჰქონდათ მოქალაქეებს ძველ საბერძნეთში? რატომ არ იყვნენ მოქალაქეთა სიაში ბავშვები და მოხუცები?
- რა გავლენა ექნებოდა მოქალაქეობის ძველ ბერძნულ გაგებას იქ მცხოვრები ადამიანების, როგორც მოქალაქეების, ისე არამოქალაქეების პიროვნულ განვითარებაზე?

მოქალაქე ანტიკურ რომში

საბერძნეთის შემდეგ მოქალაქეობის კონცეფცია კიდევ უფრო განვითარდა ანტიკურ რომში.

სტატუსი რომის მოქალაქე (Civitas Romana) დასაბამს იღებს რომის დაარსებიდან (ძვ.წ. 753 წ.), როდესაც, ლეგენდის თანახმად, რომის პირველმა მეფემ რომულუსმა, თავის მიერ დაარსებული ქალაქის მცხოვრებლები დაყო პატრიციებად და პლებებად. რესპუბლიკის ადრეულ პერიოდში ეს დაყოფა, სავარაუდოდ, ქონებრივ ცენზთან იყო დაკავშირებული, ისინი ითვლებოდნენ რომის მოქალაქეებად, ოლონდ განსხვავებული უფლებებით. თავდაპირველად პლებეები არ იღებდნენ მონანილეობას ქალაქის მმართველობაში და უფლებრივად მკაფრად შეზღუდულები იყვნენ. აკრძალული იყო პატრიციებ-სა და პლებეებს შორის ქორწინებაც.

ძვ.წ. 509 წელს, მონარქიის დამხობის შემდეგ, რომში ჩამოყალიბდა რესპუბლიკური წყობა, რომელმაც ძვ.წ 27 წლამდე იარსება. რესპუბლიკის ჩამოყალიბებამ გაამწვავა უფლებებისათვის დაპირისპირება პატრიციებსა და პლებეებს შორის. პლებეებმა მოგვიანებით მიიღეს უფლება აერჩიათ სახალხო ტრიბუნი, რომელიც მათ ინტერესებს დაიცავდა სენატის სხდომებზე. ამით ძველ რომში გაჩნდა წარმომადგენლობითი დემოკრატის პირველი ნიშნები. გვიანდელ

რესპუბლიკაში პატრიციები პლებეებისგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ მათ სასულიერო იერარქიაში ჰქონდათ მაღალი თანამდებობების დაკავების უფლება. შემდგომში პატრიციებისა და პლებეების უფლებებს შორის განსხვავება თანდათან მცირდებოდა და ძვ.წ. III საუკუნეში მათ შორის უფლებრივი სხვაობა თითქმის გაქრა.

რესპუბლიკა, როგორც მმართველობის ფორმა, საზოგადოების ისეთი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი სახალხო ხელისუფლებიანობის პრინციპი. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირებას წესი არჩევითია, ე.ი., ხელისუფლება წარმომადგენლობით ხასიათს ატარებს.



რომის მოქალაქეები სარგებლობდნენ შემდეგი უფლებებით:

- სახალხო კრებაში მონანილეობის და ხმის მიცემის უფლება;
- სახელმწიფო თანამდებობებზე და ჯარში სამსახურის უფლება;
- კერძო საკუთრების ქონის და სხვადასხვა ხელშეკრულებების დადების უფლება;

თავი 1 გლოგალური მოქალაქეობა

- კანონიერი ქორწინების უფლება, რომლის დროსაც დაბადებული ბავშვებიც რომის მოქალაქეებად ითვლებოდნენ;
- სამართლიანი სასამრთლოს და სამართლებრივი იმუნიტეტის უფლება (სასამართლო განჩინებების გასაჩივრებისა და განსაკუთრებით მძიმე ბრალდების შემთხვევაში სახალხო კრების სასამართლო პროცესში ჩართვა);

რომაელი ქალები არ განიხილებოდნენ რომის მოქალაქის სტატუსის მატარებლებად, თუმცა კერძო საკუთრება შეიძლება ჰქონდათ. დროთა განმავლობაში ქალებსაც მიენიჭათ მოქალაქეობა, მაგრამ ისინი მაინც სრულად ვერ სარგებლობდნენ მოქალაქის უფლებებით. კერძოდ, მათ არ ჰქონდათ ხმის მიცემის, სამოქალაქო ან საჯარო თანამდებობის დაკავების, სასამართლოში მონაწილეობის უფლება და საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში კარგავდნენ მოქალაქეობას.

რომის მოქალაქეობა დაპყრობილი ერების მართვის და მათგან გამიჯვნის ინსტრუმენტი იყო. რომაელები ეფექტურად იყენებდნენ მოქალაქეობას, როგორც საშუალებას, რათა განესხვავებინათ ქალაქ რომის მცხოვრებლები დაპყრობოლი ქვეყნების ხალხების-გან, რომლებიც ატარებდნენ რომის რესპუბლიკის (იმპერიის) ქვეშვრდომის სტატუსს. მათ ბევრად უფრო ნაკლები უფლებები ჰქონდათ, ვიდრე რომის მოქალაქეებს.



მოგვიანებით რომაელებმა მოქალაქეობა მიანიჭეს თავიანთ ერთგულ მოკავშირეებს მთელ იტალიაში, შემდეგ კი რომის სხვა პროვინციებში მყოფ ხალხებს, ხოლო ას. წ. 212 წელს მიღებული კანონის საფუძველზე, მოქალაქეობა იმპერიის ყველა თავისუფალმა მამაკაცმა მიიღო.

რომის, როგორც სოციალური, ასევე კულტურული განვითარება განაპირობებდა მოქალაქეთა ახალი უფლებების წარმოშობას. მოქალაქეობის კონცეფციის განვითარება მათი უფლებების კანონებად ჩამოყალიბების პარალელურად მიმდინარეობდა.

ქვ. წ. V საუკუნეში რომში შეიქმნა პირველი კანონების კრებული, რომელსაც „12 დაფის კანონს“ უწოდებენ. მრავალი საუკუნის განმავლობაში რომში ეს კანონები განიხილებოდა როგორც საჯარო და კერძო სამართლის ძირითადი წყარო (fons omnis publici privati que juris).

ეს საინტერესოა

ძვ. წ. 451 წ. დეცემვირებმა (decem – ათი, vir – კაცი). – რომის რესპუბლიკის კოლეგიამ, რომელსაც ევალებოდა თავისუფლებასთან დაკავშირებულ პროცესში მონაწილეობა, ბრინჯაოს 10 დაფაზე ამოტვიფრა კანონები, რომელთაც ძვ. წ. 450 წ. კიდევ ორი დაფა დაემატა, მათ „12 დაფის კანონი“ ეწოდა. დაფები რომაელებმა ქალაქის მთავარ მოედანზე გამოფინეს, რათა ყველას შეძლებოდა მისი წაკითხვა.

„12 დაფის კანონი“ ყველაზე მეტად პლებების ინტერესებს იცავდა სასამართლოში მოსამართლე პატრიციების თვითნებობისგან. ეს კანონი/კანონები პირველი ეტაპი/ნაბიჯი იყო პატრიციებთან თანასწორობისათვის ბრძოლაში.



12 დაფის კანონები არეგულირებდა შემდეგ საკითხებს:

პირველი ორი ტაბულა მოიცავდა სამოქალაქო სამართლის ნორმებს.

მესამე დაფა ეხებოდა ვალებს.

მეოთხე დაფა აწესრიგებდა ოჯახურ ურთიერთობებს.

მეხუთე დაფა მემკვიდრეობის საკითხებს ეხებოდა.

მეექვსე და მეშვიდე დაფები ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდნენ.

მერვე დაფა მოქალაქეთა უფლებების დარღვევებს ეხებოდა.

მეცხრე დაფა კონსტიტუციურ პრინციპებს წარმოგვიდგენდა.

მეათე დაფა დასაფლავების წესებს ეხებოდა.


მეთერთმეტე დაფა ქორწინებასთან დაკავშირებულ ნორმებს განსაზღვრავდა.

მეთორმეტე დაფა კი ეხებოდა კრიმინალურ საკითხებს.

ასეთი კოდიფიკაცია პლებეებს ვერ დააკმაყოფილებდა და ამიტომ მათი ბრძოლა უფლებებისათვის კვლავ მწვავედ მიმდინარეობდა.

თავი 1 გლობალური მოქალაქეობა

ანტიკური ავტორების მოსაზრებები 12 დაფის კანონების შესახებ:




„როდესაც მიაღწიეს შეთანხმებას კანონმდებლობის შესახებ, ათენში გაგზავნეს ელჩები, რომელთაც დაევალათ გადმოეწერათ სოლონის კანონები და გაცნობოდნენ მათ. მაშინ დეცემვირები მუშაობდნენ კანონთა შედგენაზე, ხალხი კი დიდი ინტერესით ელოდებოდა მათი მუშაობის დასრულებას. დეცემვირებმა ხალხის სურვილის მიხედვით გამოსცეს 10 ტაბულა, მიიწვიეს ხალხი კრებაზე „დაე, იყოს ეს სახელმწიფოს აყვავების და თავად თქვენი და თქვენი შვილების საკეთილდღეოდ. მიდით და წაიკითხეთ კანონები, რომლებიც აქ წერია“, – თქვეს დეცემვირებმა. მათ ასევე აღნიშნეს, რომ „უფლებრივად გაათანაბრეს საუკეთესოები და ყველაზე ცუდები“.

ტიტუს ლივიუსი, რომაელი ისტორიკოსი

„კანონის საფუძვლისა და წყაროთა მაძიებელთათვის 12 დაფის კანონთა წიგნი ავტორიტეტითა და მოცულობით გადაწონის ფილოსოფოსთა მთელ ბიბლიოთეკას.“

მარკუს ტულიუს ციცერონი, რომაელი პოლიტიკოსი,
ადვოკატი და პოლიტიკური მოაზროვნე, ძველი რომის
ყველაზე სახელგანთქმული ორატორი და კონსული



„რადგან პლებეელი ტრიბუნები კვლავ მოსახლეობის მღელვარებას იწვევდნენ (ისინი ხალხს აჩვევდნენ იმ აზრს, რომ თავისუფალი ადამიანებისათვის საუკეთესო სახელმწიფო წყობის ფორმა იყო თანასწორობა), სამართლიანად მიიჩნოდა, რომ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საქმეები კანონებთან შესაბამისობაში გადაჭრილიყო. საქმე ის იყო, რომ რომაელებს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ არც დემოკრატიული მმართველობის წესი და არც თანასწორუფლებიანობა.“

პლებეელი ტრიბუნები დაპირდნენ მოსახლეობას, რომ კანონში შეიტანდნენ ყველა მათ მოთხოვნას. უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი, მათ მიერ მომზადებული კანონი ხმამაღლა წაიკითხეს, რომლის არსი იყო ასეთი: ხალხი, რომელიც შეიკრიბებოდა კრებაზე, აირჩივდა 10 უხუცეს, ბრძენ ადამიანს, რომლებიც შეადგენდნენ კანონებს, როგორც საზოგადო, ასევე კერძო საკითხებზე.

რომაელებმა პირველად გამოიტანეს ფორუმზე როგორც წინაპართა მიერ დადგენილი ადათები, ასევე უცხოეთიდან შემოტანილი კანონები, რათა მოქალაქეებს ერთად განეხილათ“.

დიონისე ჰალიკარნასელი, ძველი ბერძენი ისტორიკოსი და რიტორი



დავალება:

გაეცანით ანტიკური ავტორების ცნობებსა და მოსაზრებებს „12 დაფის კანონებთან“ დაკავშირებით. **იმსჯელეთ:**

- რატომ გახდა აუცილებელი კანონების შექმნა ძველ რომში;
- რა გამოცდილებას დაეყრდნენ დეცემვირები „12 დაფის კანონზე“ მუშაობისას;
- ანტიკური ავტორების ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრეთ, „12 დაფის კანონების“ შექმნის დროს დემოკრატიისთვის დამახასიათებელი რომელი პროცე-დურები გამოიყენეს;
- დემოკრატიულობის რომელ პრინციპებზე მიუთითებს მოქალაქეებისათვის კანონების „პროექტის“ განსახილველად წარდგენა.

როგორც ვნახეთ, ძველ რომში მოქალაქეობა იყო პრივილეგირებული პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსი, რომელიც ენიჭებოდა რომაელებს – თავისუფალ პირებს, რომლებსაც ჰქონდათ ხმის მიცემის, უძრავი ქონების ფლობისა და კანონიერად ქორ-ნინების უფლება.



საშინაო დავალება:

მოიძიეთ ინფორმაცია და გაიმდიდრეთ ცოდნა ანტიკური ხანის საბერძნეთის მოქა-ლაქეობისა და ძველი რომის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ, შეადარეთ – რა მსგავსება და განსხვავებაა ანტიკური ხანის საბერძნეთის მოქალაქეობისა და რომის რესპუბლიკის მოქალაქეობის კონცეფციებს (მოქალაქეობის არსა და მნიშვნელობას) შო-რის. ამის ნათელსაყოფად შეავსეთ მოცემული ცხრილი (ცხრილი გადაიტანეთ რვეულში):

მოქალაქე ძველ საბერძნეთში	მსგავსება	მოქალაქე ძველ რომში
არ	ჩანერო ნიგნა!	

მოქალაქეობის კონცეფციის განვითარება



კომპლექსური დავალება 2

გაიხსენეთ:

- რაში გამოიხატება თქვენი, როგორც მოქალაქის, უფლებები და მოვალეობები?
- ცხოვრებისეული მაგალითები, თქვენი, როგორც აქტიური მოქალაქის, საზოგადოებისთვის ან/და ქვეყნისთვის სასარგებლო ქმედებების შესახებ.



მარიამ დემურია
(1860-1910)



ილია წინამძღვრიშვილი
(1887-1943)

მარიამ დემურია და „ავჭალის აუდიტორია“

მე-19 საუკუნის თბილისის ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანი საზოგადოების ორ ნაწილად დაყოფა იყო. ადგილობრივ სლავურ ბიუროებისათვან დაახლოებულ თავად-აზნაურთა და ვაჭართა უმცირეს ჯგუფს ჰქონდა ყოველგვარი შესაძლებლობა, გასცნობოდა მსოფლიო ლიტერატურას, მოეწყო საჯარო პოლიტიკური თუ კულტურული ლონისძიებები, ეკითხა გადაუკეთებელი საგაზირო პუბლიკაციები და შეეძინა თბილისის ოპერის ძერიადლინებული ბილეთები, ქალაქის გარეუბნებში მცხოვრები ხელმოკლე მოსახლეობა კი, რომელიც დღეში 12-14 საათს მუშაობდა, მოკლებული გახლდათ ყველა ამ ლეგალურ სიკეთეს.

თბილისის განაპირას, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, უმცირესი შემონირულობებითა და ილია წინამძღვრიშვილის მხარდაჭერით მარიამ დემურიამ ყველაზე ხელმოკლე ადამიანებისთვის დაარასა „ავჭალის აუდიტორია“. მოკრძალებული ორსართულიანი შენობა გადაკეთდა დარბაზად, რომელშიც კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურის მიხედვით იდგმებოდა წარმოდგენები ქართულ ენაზე და იმართებოდა სხვადასხვა წიგნის, სტატიის, დოკუმენტის საჯარო კითხვა. სახალხო სცენაზე გამოცდილ მსახიობებთან ერთად გამოდიოდნენ არაპროფესიონალებიც, რომელთაც, ნიჭის სიმცირის მიუხედავად, ჰქონდათ საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის სურვილი. მაგალითად, შეკრებილები მუდამ ოვაციებით ამხნევებდნენ სცენაზე დაშვებული შეცდომების გამო დამუხრებულ მკვლევარ თედო სახოვაისა და ჰუბლიცის გიორგი ლასხიშვილს. ცხადია, თითოეული ამ ღონისძიების მიზანი დემოკრატიულ ლირებულებათა პოპულარიზება გახდათ. ფაქტობრივად, ავჭალაში მდგარი ეს პატარა ქვიტკირის სახლი იქცა ქართული ენის დაცვის, თეატრის განვითარების, არაფორმალური განათლებისა და პოლიტიკური სოციალიზაციის რევოლუციურ კერად, რომლის საქმიანობაში მონაწილეობის საშუალება ყველას თანასწორად ჰქონდა. ბუნებრივია, აუდიტორიაც უამრავ სირთულეს წააწყდა – მეფის „ოხრანებასთან“ დაახლოებული პირები ხშირად არტევდნენ სცენასა და პარტერს, ხელს უშლიდნენ მარიამ დემურიას საქმიანობას და ათასგვარი სანქციით ცდილობდნენ ამ გამბედავი ქალისათვის მუშაობაში ხელის შეშლას. მიუხედავად ამისა, „ავჭალის აუდიტორიამ“ რამდენიმე წელი იარსება. შედეგად ქალაქის გარეუბანში ჩამოყალიბდა განათლებული, სოლიდარობის განსაკუთრებული გრძნობის მქონე და ავტორიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მუდამ მზად მყოფი სოციალური ჯგუფები, რომლებმაც მოახერხეს, მეოცე საუკუნის დასაწყისის ყველა ანტიცარისტულ გამოსვლას გასძლოლოდნენ.

(წყარო: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სამოქალაქო განათლების კურსი, 2021 წ. გვ.10)

თავი 1 გლობალური მოქალაქეობა

კომპლექსური დავალების პირობა

გაეცანით მე-19 საუკუნეში თბილისში არსებულ მოქალაქეთა სოციო-კულტურულ მდგრადი გორმარეობას, შეადარეთ დღევანდელობას და დაწერეთ ესე ან შექმნით პრეზენტაცია (PowerPoint-ის ან სხვა პროგრამის გამოყენებით) თემაზე: სამოქალაქო საზოგადოება მე-19 საუკუნეში და დღეს.

თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ არგუმენტირებულად, კონკრეტული მაგალითების მოხმობით.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რა როლი ენიჭება სამოქალაქო ჩართულობას დემოკრატიული პროცესების განვითარებაში.
- რა უფლებებით სარგებლობენ მოქალაქეები თანამედროვე საქართველოში და რა ვალდებულება აკისრია სახელმწიფოს თავისი მოქალაქეების წინაშე.



რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

მოსაზრებები ჩაინიშნეთ მოცემულ სქემაში (სქემა გადაიტანეთ რვეულში)

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?
ა რ	ჩ ა ნ ე რ ო	ნ ი გ ნ შ ი !

საკვანძო კითხვა:

როგორ აღვწერო ესეში/პრეზენტაციაში მოქალაქეობის კონცეფციის თავისებურებები მე-19 და 21-ე საუკუნეების საქართველოში ისე, რომ წარმოვაჩინო მსგავსება – განსხვავება ადამიანის უფლებების დაცვის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით? (კონცეფციის განმარტება იხილეთ გვერდი 31-ზე).

§ 2 მოქალაქეობა რომის იმპერიიდან თანამედროვეობამდე

საკითხის გაცნობამდე უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- თქვენი აზრით, ვინ შეიძლება იყოს მოქალაქე?
- როგორ ფიქრობთ, რითი შეიძლება განსხვავდებოდეს თანამედროვე მოქალაქე ანტიკური ხანის მოქალაქისაგან?

ანტიკური ხანის შემდგომ პერიოდში, ფეოდალურ საზოგადოებრში მოქალაქეობის ცნებამ აზრი დაკარგა. აბსოლიტური მონარქიის დროს მონარქის ხელში სრული ძალაუფლება იყო. სამეფოში მცხოვრები ადამიანები იყვნენ არა მოქალაქეები, არამედ მეფის ქვეშევრდომები, რომლებიც ცხოვრების ყველა სფეროში მონარქის ნებას ემორჩილებოდნენ.


ადამიანის უფლებებს, რომელთა შორის მოქალაქეობის უფლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია, რთული, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ის კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ინდივიდუალური უფლებებისთვის ბრძოლას უკავშირდება.

ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლის მაგალითებია ინგლისის (XVII საუკუნე) და საფრანგეთის (XVIII საუკუნე) რევოლუციები, რომელთა შედეგად უკმაყოფილო, უუფლებო ქვეშევრდომებმა, ერთ შემთხვევაში, შეასუსტეს, ხოლო, მეორე შემთხვევაში, დაამხეს აბსოლუტური მონარქია, შესაბამისად, გაუქმდა ქვეშევრდომობის ინსტიტუტი და ადამიანის მთელი რიგი უფლებების დეკლარირებით თანამედროვე მოქალაქეობის კონცეფციის შექმნას ჩაუყარეს საფუძველი.

ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელ თანამედროვე კონვენციებსა და დეკლარაციებს წინ უძლოდა ისტორიული დოკუმენტების მიღება.

ინგლისის რევოლუციებამდე, XIII საუკუნეში, 1215 წელს შეიქმნა თავისუფლების დიდი ქარტია, „მაგნა კარტა“. ქარტიის ავტორებმა – ინგლისელმა არისტოკრატიამ აიძულა მეფე, ხელი მოეწერა დოკუმენტისთვის, რომლითაც გარანტირებული იქნებოდა მათი უფლებები და თავისუფლებები, ხოლო მეფეს გარკვეული უფლებები უნდა დაეთმო, დამორჩილებოდა სამართლებრივ პროცედურებს და ელიარებინა, რომ მეფეც შეზღუდული იყო კანონით.

თავისუფლების დიდ ქარტიაში ჩამოთვლილი იყო ადამიანის უფლებები, მაგალითად, ყველა თავისუფალ მოქალაქეს უფლება ჰქონდა, მემკვიდრეობით მიელო და გადაეცა საკუთრება. გათავისუფლებულიყო ზედმეტი ხარჯებისა და გადასახადებისაგან. ქარტია ამკვიდრებდა სასამართლოს გამართვის უფლებას და ყველა ადამიანს აცხადებდა კანონის წინაშე თანასწორად. კანონს ერთნაირად უნდა დაეცვა და დაესაჯა მეფეც და უბრალო მოქალაქეც.



თავი 1 გლობალური მოქალაკეობა

დიდი ქარტია ინგლისის თავისუფლების ქვაკუთხედად იქცა, რომელმაც დაამკვიდრა ქვეყანაში კანონის უზენაესობა. ეს დოკუმენტი დიდი ბრიტანეთის მმართველობის სისტემის ერთგვარი საფუძველია. ინგლისში Magna Carta Libertatum განიხილება, როგორც პირველი საკონსტიტუციო აქტი, რომლითაც გაცხადდა, რომ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროს წარმოადგენს არა ღვთისგან ხელდასხმული მეფე, არამედ ხალხი, ხოლო ხორციელდება ხალხის წარმომადგენელი ორგანოს, მომავალში პარლამენტად წოდებული საბჭოს მიერ.

„მაგნა კარტამ“ თანამედროვე დემოკრატიას მისცა ის, რომ:

- სახელმწიფო ძალაუფლება ხალხის ნებაზეა დამყარებული;
- ეს ნება მათი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ხორციელდება;
- ადამიანის თავისუფლება და ქონება ხელშეუხებელია;
- კანონის წინაშე ყველა, მათ შორის მონარქი, თანასწორია და სამართლიანობას ადგენს დამოუკიდებელი სასამართლო.

„მაგნა კარტას“ მიღებამ, ბუნებრივია, ინგლისი დემოკრატიულ სახელმწიფოდ მაშინვე არ აქცია – ამას საუკუნეები და დიდი ბრძოლა დასჭირდა.

მხოლოდ 1689 წელს, ინგლისის რევოლუციის შემდეგ, დიდ ბრიტანეთში მიიღეს პარლამენტის კონსტიტუციური აქტი, რომელმაც განამტკიცა მსხვილი ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელი არისტოკრატიის ნაწილის გამარჯვება მონარქიაზე.

1689 წელს მიიღეს ადამიანის უფლებათა ბილი, რომელიც დღესაც ძალაშია. ეს საკანონმდებლო აქტი, მაგნა კარტას პრინციპებზე დაყრდნობით, ადასტურებს მონარქის უფლებების კიდევ უფრო შეზღუდვას, ადგენს პარლამენტის მუშაობის რეგლამენტს, ანგლეზს პარლამენტის წევრთა რეგულარულ თავისუფალ არჩევნებს, პარლამენტში სიტყვის თავისუფლებას, სასტიკი და არაპუმანური სასჯელების აკრძალვას და ადამიანის ფართო უფლებებს.

მაშინ ასე, 1215 წელს მიღებულმა „მაგნა კარტამ“ ბიძგი მისცა ისეთი პოლიტიკური სისტემის ევოლუციას, რომლის საფუძველზეც ინგლისი და მის მიერ შექმნილი ბრიტანული სახელმწიფო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე დიდი იმპერია იყო და ამ იმპერიის დაშლის შემდეგაც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ქვეყნად დარჩა.



იმსჯელეთ, თქვენი აზრით:

რატომ იქნებოდა ხელსაყრელი მსხვილი ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელი არისტოკრატიისთვის კონსტიტუციური აქტის მიღება?

ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, რა გავლენა მოახდინა ინგლისში მომხდარმა მოვლენებმა მსოფლიოზე?

1789 წელს ვერსალში, **საფრანგეთის** რევოლუციის დროს, წარმომადგენლობითი ასამბლეის შეკრებაზე მიიღეს „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, რომელმაც ადამიანის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები განსაზღვრა, და რაც დღემდე რჩება საფრანგეთის კონსტიტუციური სამართლის საფუძვლად. 1791 წელს მიღებული საფრანგეთის კონსტიტუციის მიხედვით, საფრანგეთის მოქალაქედ ჩაითვალნენ ის პირები, ვინც დაიბადნენ საფრანგეთში და საცხოვრებლად აირჩიეს საფრანგეთის ტერიტორია, ასევე ის პირებიც, ვინც დაიბადნენ საფრანგეთის საზღვრებს გარეთ, მაგრამ ერთ-ერთი მშობელი იყო ფრანგი, დასახლდნენ საფრანგეთში და დადეს სამოქალაქო ფიცი.

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის შედეგად მეფე ლუი XVI იძულებული გახდა, ხალხის გამარჯვება ეღიარებინა, რითაც მონარქია შეიზღუდა. 1792 წელს კი მონარქია გაუქმდა და საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

საფრანგეთის რევოლუციის წყალობით, ქვეყანაში ძველი რეჟიმი დასრულდა და გამოცხადდა „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა“.

საფრანგეთის რევოლუციამ ბევრ ევროპულ ქვეყანას მისცა სტიმული, რომ შეეცვალა მონარქიული მმართველობა რესპუბლიკით, რამაც უბრალო ხალხს მეტი უფლება და თავისუფლება მიანიჭა.



AUX REPRESENTANTS DU PEUPLE FRANCOIS



დავალება

მცირე ჯგუფებში **იმსჯელეთ** და გააანალიზეთ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში მომხდარი მოვლენები. რა როლი ითამაშა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის რევოლუციებმა ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიაში.

მოცემული სქემის შესაბამისად, განსაზღვრეთ თითოეული მოვლენის მიზეზები და მოქალაქეობის კონცეფციის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი შედეგები.


(სქემა გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ)

თავი 1 გლობალური მოქალაქეობა

მიზეზი და შედეგი


მოვლენა N1

ეს მოხდა იმიტომ, რომ:



მოვლენა N2

ეს მოხდა იმიტომ, რომ:



გერმანიაში 1621 წელს გაჩნდა ცნება „მოქალაქეობის“ ჩანასახი, როდესაც, ვიურტენ-ბერგის კანონით, გერმანიის მცხოვრებთაგან ცალკე ჯგუფად გამოყვეს ბიურგერები, ანუ ქალაქის მოსახლეობა, ხოლო „მოქალაქე“, როგორც ტერმინი, ბავარიის კონსტიტუციაში ჩაიწერა 1818 წელს.

მოქალაქეობის კონცეფციის განვითარების თვალსაზრისით, **ამერიკა** თითქმის პირდაპირ რომის იმპერიის შთამომავალია. ტირანიისა და ჩაგვრისგან გასათავისუფლებლად, რესპუბლიკური მთავრობის შესაქმნელად ამერიკას, როგორც ბრიტანეთის კოლონიას, დასჭირდა აჯანყება. ტირანიის წინააღმდეგ მოწყობილი რამდენიმე აჯანყების შემდეგ შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების **კონსტიტუცია**, რომელსაც წინ უძლოდა საკანონმდებლო დონეზე „მოქალაქეობის“ ინსტიტუტის დეკლარირება.


სიტყვა „კონსტიტუცია“ მომდინარეობს ლათინური წარმოშობის სიტყვისაგან – „constitutio“ და ქართულად ნიშნავს **დადგენას, დაწესებას**. საქართველოს კონსტიტუცია არის სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც გამოხატულია საქართველოს მოქალაქეების ურყევი წება, დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა.

თომას ჯეფერსონმა 1779 წელს ამერიკის კონგრესს დასამტკიცებლად წარუდგინა კანონი, რომლის საფუძველზე შეიქმნა მოქალაქეობის ინსტიტუტი. ამ კანონის თანახმად, ამერიკის მოქალაქედ ჩაითვალა ყველა ის თეთრკანიანი პირი, ვინც დაბადებული იყო ამერიკაში და კანონის მიღებამდე, ბოლო ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ამ სახელმწიფოში.



იმსჯელეთ

რატომ თვლიდნენ ამერიკის მოქალაქედ მხოლოდ თეთრკანიანებს და რამდენად დემოკრატიული იყო ეს კანონი?



თომას ჯეფერსონი, აშშ-ს მესამე პრეზიდენტი.



გაიხსენეთ ლიტერატურული ნაწარმოებები, ფილმები (მაგ., ნახეთ ფილმი „მარშალი“ <https://cutt.ly/rSY9HOo>, რომელშიც ასახულია ეს პრობლემა) და **იმსჯელეთ** ფერადკანიანთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაზე მუშაობა 1787 წელს დასრულდა და ძალაში შევიდა 1789 წ. ამით შეიქმნა სუვერენული შტატების ფედერალური გაერთიანება და ამ გაერთიანების მმართველი ფედერალური მთავრობა. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია ამჟამად მოქმედ, დაწერილ კონსტიტუციებს შორის ყველაზე ძველია.

რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე სამოქალაქო უფლებების მოძრაობამ ამერიკა გახდა ბევრად უფრო ინკლუზიური და მისაღები, ვიდრე იყო ოდესმე, რაც გამოიხატებოდა ამერიკის ყველა მოქალაქისთვის საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლების მინიჭებით, განურჩევლად რასისა, სქესისა, სარწმუნოებისა და სოციალური სტატუსისა.



იმუშავეთ წყვილებში

გამოყავით მოქალაქეობის კონცეფციის განვითარების ძირითადი ეტაპები. დაასაბუთეთ, რატომ გამოყავით ეს პერიოდები? აღწერეთ, რა არის მოქალაქეობის კონცეფციის განვითარება, რა დაემატა და რა მოაკლდა დღევანდლამდე მოქალაქის უფლებებს?

(გადაიტანეთ მოცემული ცხრილი რვეულში და შეავსეთ)

პერიოდის დასახელება	არგუმენტი, რატომ გამოყავით ეს პერიოდი	რა ცვლილება განიცადა მოქალაქეობის გაგებაში
		ნიგნში!
ამ	ჩანერო	

სამშობლო დედამიწა



კომპლექსური დავალება 3

გაიხსენეთ:

- რა პრობლემები შეგიქმნათ კოვიდ 19-მა თქვენ და თქვენს ახლობლებს?
- პანდემიის გარდა რა სახის გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი პლანეტა?

2021 წლის 15 მარტს, კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, ავსტრიის მშვიდობისა და კონფლიქტების მოგვარების სასწავლო ცენტრმა (ASPR) დაიწყო გლობალური კამპანია „სამშობლო დედამიწა“, რომლის კონცეფცია შეიმუშავა ფრანგმა ფილოსოფოსმა ედგარ მორენმა.

**მონიდება მშობლიურ დედამიწას
გლობალური აზროვნების, დაგეგმვისა და
მოქმედებისთვის**

21-ე საუკუნეში ჩვენ უდგავართ უპრეცედენტო პრობლემების წინაშე, რომელიც საფრთხეს უქმნის თავად კაცობრიობის არსებობას. მსოფლიო პანდემია Covid-19, რომელმაც გამოიწვია „ანთროპოცენის* პირველი ეკონომიკური კრიზის“ (ადამ ტუზი). ადამიანის მიერ გამოწვეული კლიმატის ცვლილება, სახეობების გადაშენება, ბირთვული იარაღის საშიშროება, სამოქალაქო მოები ცხადყოფს სიტუაციის სერიოზულობას. თუმცა, მეცნიერებაში, კულტურაში, პოლიტიკასა და სამოქალაქო საზოგადოებაში დიდი ხანია არსებობენ ადამიანები, გაერთიანებები, რომელებიც არა მხოლოდ მიუთითებენ საფრთხეებზე, არამედ თავიანთი საშუალებებით ეძებენ გამოსავალსა და ხსის გზებს.

„ავსტრიის სასწავლო ცენტრი მშვიდობისა და კონფლიქტების მოგვარებისთვის“ (ASPR) მართავს კამპანიას „სამშობლო დედამიწა“. სათაური შთაგონებულია დიდი ფრანგი მთაზროვნის, ედგარ მორენის ამავე სახელწოდების წიგნით.

კამპანიის მიზანია გააერთიანოს აკადემიკოსები და აქტივისტები, რომლებიც მუშაობენ მიმდინარე პრობლემებზე.

„ადამ არის დრო, რომ უპრალოდ ვალიაროთ ეკოლოგიური კატასტროფები, ან ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ტექნოლოგიების განვითარებამ შეიძლება გამოასწოროს სიტუაცია და ნება მივცეთ არასწორი მოვლენების განვითარებას – განადგურებით დაემუქრონ პლანეტასა და მთელ ბიოსფეროს. გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის ბუნებასთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი ცვლილებით. საჭიროა გავაცნობიროთ სილიდარობის/ერთმანეთთან გვერდით დგომის აუცილებლობა.

ამისათვის საჭიროა ინტელექტუალური სამსაფეხურიანი მიდგომა – ცოდნა, ხედვა და მოქმედება.

კრიზისის აღიარება

ჩვენ უნდა გვექინდეს გამქედაობა, რომ სრულად ჩავწერეთ დედამიწის სისტემურ კრიზისს და ვალიაროთ, რომ პრობლემები მწვავეა.

ჩვენ გვჭირდება ინტელექტუალური შესაძლებლობები და ფინანსული სიმტკიცე, რომ მივიღოთ გამოწვევები და გავუმტკიცეთ სიტუაციის სირთულეს.

ჩვენ უნდა დავძლიოთ ვინრო პატრიოტული, ნაციონალისტური, რაისისტული, სექსისტური აზროვნება და ვიპოვოთ გზა გლობალური აზროვნებასკენ, რადგან მხოლოდ ეს მიღვომა არის შესაფერისი ჩვენი დღევანდელი სამყაროსთვის. ჩვენ უნდა გავაფართოვოთ პოზიტიური ემიციური კავშირი, რომელსაც ვგრძნობთ ჩვენი რეგიონის ან ქვეყნის მიმართ და განვავრცოთ მთელ პლანეტაზე, დედამიწაზე, როგორც ჩვენს სახლზე.

ხედვის ძალა

დღევანდელი ყოფის დინამიკა გვასწავლის, რომ კაცობრიობას არ ელის აღსასრული. ჯერჯერობით ჩვენ ვიყენებთ ჩვენი ტვინის პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილს, გვაქვს ცოდნა და ვიცით სტრატეგიები, რათა შევცვალოთ ჩვენი ურთიერთობები იყოს მშვიდობიანი და მეგობრული, მოვაგვაროთ კონფლიქტები ძალადობის გარეშე. ჩვენ

“HOMELAND EARTH”



A CAMPAIGN FOR
PLANETARY SOLIDARITY



ASPR
SCHLAINING VIENNA



*ანთროპოცენი – თეორია, რომელიც აცხადებს, რომ დედამიწა ადამიანის აქტივობის შედეგად ახალ გეოლოგიურ ეპოქაში შევიდა.

გვაქვს ტექნიკური საშუალებები, რათა შევქმნათ მდგრადი, აყვავებული, კეთილგონივრული ცხოვრება ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანისთვის.

მოქმედების გზები

ასებით მიღიონ ადამიანს მთელ მსოფლიოში სწადია უკეთესი ცხოვრება, და არა ისეთი, რომელიც დაფუძნებულია ბუნებისა თუ სხვა ადამიანების ექსპლუატაციაზე, სასტიკ კონკურენციასა და, ერთი მხრივ, სიმდიდრის უაზრო დაგროვებაზე, მეორეს მხრივ, წარმოუდგრენელ სიღარიბესა და უბედურებაზე.

ჩვენ „სამშობლო დედამიწის“ მომავლის გადარჩენისთვის პრძოლას, რომელიც დღეს მიმდინარეობს, უნდა მივცეთ საერთო მიმართულება, მათი მრავალფეროვნებისა და მრავალრიცხოვნების შენარჩუნებით, ძლიერებისა და თავდაჯერებულობის შეგრძნებით. ახალი სოციალური გამოგონებები უნდა შეიქმნას იმისათვის, რომ ამოქმედდეს დემოკრატიული კონტროლის მექანიზმები ლოკალურიდან გლობალურ დონეზე, რომელიც დაუპირისპირდება კლიმატის ცვლილებას, სახეობების გადაშენებასა და სიცოცხლის მრავალფეროვნების განადგურებას, აგრეთვე თვითგანადგურების საშიშროებას ბირთვული იარაღის, შიმშილისა და ომების გზით. აუცილებელია მშვიდობიანი ახალი კულტურის შექმნა, რათა უზრუნველყოთ გონივრული, მდგრადი და უსაფრთხო ცხოვრება.

წყარო: www.peace-ed-campaign.org სამშობლო დედამიწა, პლანეტარული ცნობიერების ამაღლების კამპანია. 18 აპრილი, 2021წ.

კომპლექსური დავალების პირობა

გაეცანით ედგარ მორენის მიმართვას და ჩაერთეთ კამპანიაში „სამშობლო დედამიწა“. თქვენც შექმენით თქვენი თანატოლებისთვის მიმართვის ტექსტი, რომელშიც წარმოაჩენთ თქვენ გარშემო არსებულ გლობალური მნიშვნელობის პრობლემებს და დასახავთ კონკრეტულ ამოცანებს, აქტივობებს, რითიც თქვენს წვლილს შეიტანთ ჩვენი საერთო სამშობლოს, დედამიწის, გადარჩენაში, მის მდგრად განვითარებაში. მიმართვის ტექსტში გამოიყენეთ ეფექტური რიტორიკული ხერხები, რითიც დაარწმუნებთ მსმენელებს და განაწყობთ მათ მოქმედებისთვის.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორია თქვენი და თქვენი თანატოლების, როგორც გლობალური მოქალაქეების, მისია ლოკალურ და გლობალურ დონეზე;
- რატომ არის მნიშვნელოვანი როგორც თითოეული მოქალაქის, ასევე მსოფლიოს ერთიანი ძალისხმევა გლობალურ პრობლემებთან მიმართებით;
- რამდენად შეესაბამება პრობლემების მოსაგვარებლად თქვენ მიერ დასახული ამოცანები, კონკრეტული გზები და თანამშრომლობის ფორმები მდგრადი განვითარების პრინციპებს.



რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

მოსაზრებები ჩაინიშნეთ მოცემულ სქემაში (სქემა გადაიტანეთ რვეულში).

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?
არ	ჩაწერო	ნიგბანში!

საკვანძო შეკითხვა:

როგორ შევქმნა ჩემი თანატოლებისთვის მიმართვის ტექსტი ისე, რომ გამოვხატო ჩვენი მისია ლოკალურ და გლობალურ დონეზე, დავარწმუნო მსმენელი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისა და მთელი მსოფლიოს ერთიანი ძალისხმევა გლობალურ პრობლემებთან მიმართებით?

§ 5. მსოფლიო მოქალაქეები და გლობალური მოქალაქეობა

საკითხის გაცნობამდე უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- მოქალაქის რომელ აქტივობას მიიჩნევთ მსოფლიო მნიშვნელობის საქმედ?
- რომელი ადგილობრივი პრობლემები შეიძლება წარმოვიდგინოთ გლობალური პრობლემის ნაწილად?

ალექსი


ჩემი ბიძაშვილი დიდი ბიზნესმენია. ცხოვრობს საქართველოში, მაგრამ ბიზნესი სხვადასხვა ქვეყანაში აქვს. ავსტრიაში რომელიდაც წარმოებაში ჩადო დიდი ინვესტიცია და, მათი კანონების მიხედვით, მიიღო პასპორტი, ანუ გახდა ავსტრიის მოქალაქეც. საცხოვრებლად საფრანგეთის ერთი პატარა ქალაქი შეარჩია, ჰყავს ფრანგი მეუღლე და საქართველოში ხშირად ჩამოდის. ძალიან მიყვარს მასთან საუბარი. მისგან ვიცი, რომ უამრავი ქვეყანა აქვს მოვლილი და მათ ეკონომიკაში გარკვეული წვლილი შეაქვს. ხუმრობით ვეუბნები, შენ ხარ თუ ხარ მსოფლიო მოქალაქე-მეთქი. ამაზე იცინის, მაგრამ მართლა არ ვიცი, მეტი რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ გახდეს მსოფლიო მოქალაქე?



თქვენ როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანს ეწოდოს მსოფლიო მოქალაქე?

როგორც უკვე იცით, მოქალაქეობის სტატუსი ადამიანის გარკვეულ ტერიტორიასთან (სახელმწიფოსთან) მიკუთხნებულობას გულისხმობს, აქედან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეობა არის პირის სამართლებრივი კავშირი საქართველოსთან.

„მსოფლიო მოქალაქეს“ კონცეფცია უკვე საკმაოდ დიდი ხანია არსებობს და საშუალებას იძლევა, რომ ადამიანები ერთდროულად იყვნენ ერთზე მეტი სახელმწიფოს ან სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მოქალაქეები.



29 წლის ნიკოლოზ ბარტყულაშვილი, იგივე ნიქს ენერჯი, ერთადერთი ქართველია იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მსოფლიო მოქალაქეები გახდნენ. ამას კი მხოლოდ თავისი ენთუზიაზმითა და მოგზაურობის დაუკავებელი სურვილით მიაღწია. ის 120-ზე მეტ ქვეყანაშია ნამყოფი და მაღე კოსმოსში გაფრენას გეგმავს.

ნიკოლოზ ბარტყულაშვილი: მინდოდა, მსოფლიო მოქალაქე გავმხდარიყვავი. ჯერ თეორიულად შევისწავლე მთელი მსოფლიო, შემდეგ – პრაქტიკულად. სადაც კი მივდიოდი, იქა-





ური ვხდებოდი. მე ინფორმაციულად სხვადასხვანაირად ვვითარდები. სადაც ჩავდივარ, ყველგან მათ კულტურას ვსწავლობ, არგენტინაში – „ტანგოს“, ჩინეთში – მედიცინას, ასრტოლოგიას. რომც არ მქონდეს ეს საბუთი, მაიც მსოფლიო მოქალაქე ვარ. თუმცა, სანამ საბუთი მექნებოდა, რა თქმა უნდა, უფრო რთული იყო მოგზაურობა. თუნდაც მეზობელ ქვეყნებში რომ მიდიხარ, მაგალითად, როგორიც არგენტინა და ბრაზილიაა, მაიც საქართველოში მიწევდა ჩამოსვლა ვიზის ასაღებად, ბევრი კომბინაცია იყო საჭირო. ახლა ეს არ მჭირდება და თავისუფლად დავდივარ...რაც არ უნდა გამიტაცოს კოსმოსმა, ჩემი საყვარელი ადგილი იქნება საქართველო, რადგან ჩემი სამშობლოა. ყველა ქვეყანა უნდა ნახო, რომ დააფასო საქართველო. ეს იდეოლოგია ჩემს წიგნშიცაა. წიგნი არის იმაზე, თუ როგორ დავწესე მოგზაურობა, რა სირთულეები გადამხდა და ეს ყველაფერი როგორ გადავლახე ჩემით. ოცი ქვეყანა მაქვს აღნეროლი. ცხადია, მთელ მსოფლიოს ვერ აღვწერ. ბოლოს ვამთავრებ საქართველოთი – თუ რამხელა მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყანა...

წყარო: old.tbiliselebi.ge 08.02.2016 წ.



დავალება: გადადით ბმულზე <https://cutt.ly/bSjvON2> და გაეცანით მსოფლიო მოქალაქეს, რომელსაც 120-ზე მეტი ქვეყანა აქვს მოვლილი.

როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს გლობალური მოქალაქეობა? მთელ მსოფლიოში თავისუფალი გადაადგილების უფლების მიღება საკმარისია გლობალური მოქალაქეობისთვის?

ევროკავშირში გაერთიანებული ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად იცხოვროს ევროკავშირის ყველა სხვა წევრ ქვეყანაში, იმუშაოს და გადაიხადოს გადასახადები. ამრიგად, ეს ადამიანები, მართალია, არიან ერთი კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეები, მაგრამ, ამასთან ერთად, შეიძლება ჩაითვალონ ევროპის მოქალაქეებადაც.



ეკონომიკური მიგრაციის ზრდასთან ერთად, სულ უფრო მეტი ადამიანი უკავშირდება ერთდროულად რამდენიმე ქვეყანას და, შესაბამისად, დღეს ძალიან ხშირად შეხვდებით ადამიანს, რომელსაც ერთზე მეტი ქვეყნის მოქალაქეობა აქვს.

როგორც უკვე იცით, ტერმინი „მოქალაქე“ გულისხმობს ადამიანის სახელმწიფოსად-მი მიკუთვნებულობის განსაზღვრას და მის უფლებას იმუშაოს, იცხოვროს, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ საქმიანობაში კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში.

თავი 1 გლობალური მოქალაქეობა



„არ არის კარგი მოქალაქეო,“ – იტყვიან ხოლმე ვინჩეზე, ან არისო... როგორი უნდა იყოს კარგი მოქალაქე? ეს ისწავლება? და თუ კი, მაშინ სად ისწავლება – სკოლაში თუ ოჯახში? როგორ ისწავლება? რა არის მოქალაქის ვალი – არჩევნებში მონაწილეობა თუ ასევე ის, რომ ნაგავი ურნაში უნდა ჩააგდოს? ცოტა რამ მოქალაქეობის შესახებ და დისკუსია რადიო თავისუფლების სტუდიაში.

საუბრობენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი გიორგი გახელაძე და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენელი ლაშა ქავთარაძე. საუბარს უძღვება მარინა ვამაყმაძე.

<https://cutt.ly/rSjbezO>

წყარო: რადიო თავისუფლება რუბრიკა-დისკუსია-ნოემბერი 25, 2015



გიორგი გახელაძე, ლაშა ქავთარაძე



დავალება:

მოისმინეთ ჩანაწერი და გააგრძელეთ დისკუსია – რა გზაა გასავლელი კარგი მოქალაქეობიდან გლობალურ მოქალაქეობამდე. თქვენი აზრით, როგორ უკავშირდება სამოქალაქო აქტივიზმი გლობალურ მოქალაქეობას?

როდესაც სიტყვა „მოქალაქე“ შერწყმულია ტერმინთან „გლობალური“, ის უკვე ზოგადად აღნიშნავს პირს, რომელიც „გლობალური საზოგადოების“ წევრია. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ადამიანის მიკუთვნებულობა სცილდება გეოგრაფიულ საზღვრებს და მისი მოვალეობები ან/და უფლებები წარმოიქმნება უფრო დიდ საზოგადოებასთან მიკუთვნებულობაში, რასაც „კაცობრიობა“ ჰქვია. შეიძლება ითქვას, რომ „გლობალური მოქალაქეობა“ ნიშნავს იყო მსოფლიო საზოგადოების წევრი, სარგებლობდე შესაბამისი უფლებებით და ადეკვატურად რეაგირებდე კაცობრიობის წინაშე არსებულ გლობალურ პრობლემებსა და გამოწვევებზე.

გლობალური მოქალაქეობის მნიშვნელოვანი ელემენტია გლობალური აქტივიზმი, რომელიც მონაწილეობით თავს ხედავენ მსოფლიო მოძრაობის ნაწილად.



„თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...“

„კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“
ვაჟა – ფშაველა



იმსჯელეთ: როგორ უკავშირდება ვაჟა-ფშაველას სიტყვები ზემოთ მოცემულ დებულებას გლობალური მოქალაქეობის შესახებ?


გლობალური მოქალაქეობა თავი 1

ჩვენ ვცხოვრობთ ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში, რომელშიც ერთ ადგილზე მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს პლანეტის სხვადასხვა სივრცეში მცხოვრებ ადამიანებზე. თუმცა გლობალური ურთიერთდამოკიდებულების იდეა უფრო მასშტაბურია – შორეული, ლოკალური მოვლენები მოქმედებს მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებზეც, რომლებსაც, ერთი შეხედვით, გარკვეული რყევებისა და მოვლენათა არასასურველი განვითარებისგან თავდაცვის მეტი რესურსი აქვთ.

მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ს მიერ 1945 წლის აგვისტოში, იაპონიის ქალაქებში – ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური იარაღის გამოყენებით მსოფლიოში პირველად განხორციელდა უდიდესი ბირთვული აფეთქება.

ატომური დაბომბვის და მასთან დაკავშირებული გარემოებების შედეგად ჰიროსიმაში 140 000 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 74 000 ნაგასაკიში. ორივე ქალაქში მსხვერპლთა უმრავლესობა მშვიდობიანი მოსახლეობა იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბირთვული იარაღის შექმნა თანამედროვეობის ერთ-ერთ გლობალურ პრობლემად იქცა, რამაც განაპირობა როგორც სახელმწიფოთა ძალისხმევის გაძლიერება, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაარსება მსოფლიოში მშვიდობის პროპაგანდისა და დაცვისათვის.



„ატომის სოკო“ წარმოქმნილი ნაგასაკიში ატომური ბომბის აფეთქების შედეგად. სოკოს სიმაღლე 18 კილომეტრს აღწევდა აფეთქების ჰიპოცენტრიდან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაერო (United Nations Organization, UNO; შემოკლებით – United Nations, UN) — საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციაა. მისი შექმნის საფუძველი გახდა ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა კოალიციად გაერთიანება. 1942 წლის 1 იანვარს მათ ხელი მოაწერეს „გაერთიანებული ერების დეკლარაციას“, რომლიდანაც შემდგომ ჩამოყალიბდა ორგანიზაციის სახელწოდება.




გაეროს შტაბ-ბინა, ნიუ-იორკში

1943 წლის 30 ოქტომბერს მოსკოვის კონფერენციაზე სამმა დიდმა სახელმწიფომ – სსრკ-მ, აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა, მიიღო გადაწყვეტილება ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის თაობაზე.

გაერო შეიქმნა 1945 წლის 26 ივნისს, როდესაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას. წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოში, როგორც გაერთიანებული ერების დღე.

თავი 1 გლობალური მოქალაქეობა



სირიის კრიზისი – სირიაში, აღმოსავლეთ დუტაში 18 თებერვლიდან მოყოლებული, ორი კვირის განმავლობაში, ავიაიერიშსა და სარაკეტო დარტყმას 600-მდე ადამიანი ემსხვერპლა. ამის შესახებ სირიაში გაეროს რეგიონულმა წარმომადგენელმა განაცხადა. პანოს მუმცისის განცხადებით, რეგიონში დაპირისპირები ძლიერდება და სულ უფრო მეტი ადამიანი იღუპება. 24 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ აღმოსავლეთ დუტაში ქიმიური თავდასხმა განხორციელდა. გაეროს უშიშროების საბჭომ სირიაში ცეცხლის შეწყვეტის 30-დღიანი რეჟიმის გამოცხადების შესახებ რეზოლუცია 24 თებერვალს მიიღო, თუმცა შეთანხმება მიღებიდან რამდენიმე საათში დაირღვა. აღმოსავლეთ დუტა ერთ-ერთი ბოლო ტერიტორიაა, რომელსაც მეამბოხები აკონტროლებენ. ქალაქი ოთხ წელზე მეტია, ალყაშია. ამ რეგიონში 400 000-მდე ადამიანი ცხოვრობს; მათ ჰუმანიტარული დახმარება სჭირდებათ.

სირიის პროვინცია დუტაში ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული პირველი ავტოკოლონა 5 მარტს შევიდა. ჰუმანიტარული ტვირთი 27 ათასამდე ადამიანისთვის არის განკუთვნილი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ სირიელმა ჩინოსნებმა ჰუმანიტარული სატვირთო მანქანებიდან, რომლებიც აღმოსავლეთ დუტაში უნდა ჩასულიყო, პირველადი დახმარების ნივთები ამოიღეს.

წყარო: დაიჯესტი, მსოფლიოში მიმდინარე ახალი ამბების ქრონიკა.
1-7 მარტი, 2018 წ.
გამოქვეყნებულია: 08.03.2018 წ.

 **იმსჯელეთ,** რა გლობალური სირთულეების წინაშე აყენებს მსოფლიოს სირიის მსგავსი კრიზისი. თქვენი აზრით, რა როლი ენიჭება საერთაშორისო ძალისხმევას მშვიდობის შენარჩუნებაში?

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაფუძნებიდან დღემდე გლობალურ სამშვიდობო პოლიტიკას ატარებს მთელ მსოფლიოში. მისი საქმიანობის მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება. ორგანიზაცია მუშაობს შემდეგი მიმართულებებით: კონფლიქტის პრევენცია, კონფლიქტის მონაწილე მხარეების დახმარება მშვიდობის მიღწევაში, მშვიდობის მშენებლობა, მშვიდობის განმტკიცებისა და შენარჩუნებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. გაერო ასევე ხელს უწყობს მდგრად განვითარებას, ადამიანის უფლებების დაცვას, საერთაშორისო კანონმდებლობის შექმნასა და მის შესრულებას. ორგანიზაცია კოორდინირებას უწევს მსოფლიოში ჰუმანიტარულ დახმარებას.

გლობალური პრობლემების გადასაჭრელად გაეროში 2022 წლის მონაცემებით 193 ქვეყანაა გაერთიანებული.

1992 წლის ივლისში საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179-ე წევრი გახდა, რასაც 1993 წლის დასაწყისში საქართველოში გაეროს ოფისის გახსნა მოჰყვა. აშშ-ში, ქალაქ ნიუ-იორკში, მუშაობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა.



გაეროს მიერ მიღებული დოკუმენტები შესასრულებლად სავალდებულოა ყველა მისი წევრი სახელმწიფოსთვის, რომლებიც ამ დოკუმენტების ნორმების საფუძველზე თავისი ქვეყნებისთვის ქმნიან ნორმატიულ აქტებს.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც მიჩნეულია ადამიანის ძირითად სამოქალაქო,

გლობალური მოქალაქეობა თავი 1

პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებების საჭანდარტად და რომლითაც ყველა ადამიანი უნდა სარგებლობდეს დედამიწაზე. დროთა განმავლობაში იგი დამკვიდრდა, როგორც ადამიანის უფლებების ფუნდამენტური ნორმები, რომელსაც ყველა უნდა იცავდეს და პატივს სცემდეს.

კაცობრიობის წინააღმდეგ ბირთვული ენერგიის გამოყენების გლობალურმა საფრთხემ მთელ მსოფლიოში გააძლიერა სამოქალაქო აქტივისტების გამოსვლები განიარაღებისა და მსოფლიო უსაფრთხოების მოთხოვნით.

ჯერ კიდევ 1957 წლის ნოემბერში დიდ ბრიტანეთში დაიწყო კამპანია ბირთვული განიარაღებისთვის (CND).




წამყვანი ანტიბირთვული მარში ლონდონში
1961 წლის 18 თებერვალი



CND აქცია, აბერიუსტვიტში, უელსი,
1961 წლის 25 მაისი

მიუხედავად წლების განმავლობაში მოწყობილი არაერთი მასობრივი გამოსვლისა, მთელ მსოფლიოში დღესაც მიმდინარეობს გამალებული შეიარაღება, რომელსაც შეიარაღებულ კონფლიქტებამდე მივყავართ. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში დაიწყო თანამედროვეობის ყველაზე მასშტაბური, მთელი კაცობრიობისათვის საფრთხის შემცველი ომი, რასაც მოჰყვა გლობალური მასშტაბის სამოქალაქო საპროტესტო აქციები.



თავი 1 გლობალური მოქალაქეობა



იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა აქვს შეიარაღებულ კონფლიქტებში დაზარალებული ქვეყნის მხარდაჭერას მსოფლიო საზოგადოების მხრიდან. თქვენ თუ მიგილიათ ამგვარ მხარდამჭერ აქციებში რაიმე სახით მონაწილეობა? სხვადასხვა ქვეყანაში ამგვარი ლოკალური აქციები რა გლობალური მიზნისკენ არის მიმართული?


„თუ ნეიტრალური ხართ უსამართლობის მიმართ, ეს ნიშ-ნაცს, რომ დგახართ მჩაგვრელის მხარეს...“

დესმონდ ტუტუ

სამხრეთ აფრიკელი სასულიერო მოღვაწე და აქტივისტი



რას ფიქრობთ დესმონდ ტუტუს გამონათქვამზე? რამდენად ეთანხმებით მას?



„როცა ნაცისტები კომუნისტებს მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. ეპრაელებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან ეპრაელი არ ვყოფილვარ. პროფესიონალის ნევრი არ ვყოფილვარ. კათოლიკებზე გადავიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ. შემდეგ მე მომადგნენ ... და ალარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოეღო...“

გერმანელი პასტორ მარტინ ნიმიოლერი (1892-1984)



დავალება: ყურადღებით წაიკითხეთ პასტორ მარტინ ნიმიოლერის ცნობილი სიტყვები და გამართეთ **დისკუსია:** რისი თქმა უნდოდა ამ სიტყვებით პასტორს? რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ადამიანი გაბედული, პრინციპების დამცველი, გასაჭირებელი სხვისი აქტიური მხარდამჭერი და რა შემთხვევაში – ფრთხილი?

მსოფლიოში დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის, გლობალური პრობლემების მოსაგვარებლად მოქალაქეთა სოლიდარობა, სამოქალაქო აქტივობები უნდა გასცდეს ლოკალურ, ტერიტორიულ საზღვრებს.



XX საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ში რასიზმი მძვინვარებდა. შავკანიანთა უფლებები კანონებითაც იზღუდებოდა. ალაბამაში შტატში, ადგილობრივი კანონის შესაბამისად, ქალაქის ავტობუსში შავკანიანი მგზავრები უკანა ადგილებზე უნდა დამსხდარიყვნენ, თეთკანიანები წინ. თუ ავტობუსი გაივსებოდა შავკანიანებს თავიანთი ადგილები თეთრკანიანებისთვის უნდა დაეთმოთ. 1955 წლის 1 დეკემბერს, მონტგომერში, ერთმა შავკანიანმა ქალმა, როზა პარქსმა დაარღვია კანონი, ადგილი არ დაუთმო თეთრკანიან მოქალაქეს, რის გამოც დაპატიმრეს და ჯარიმაც გადაახდევინეს. ეს ფაქტი ადამიანების უფლებებისათვის ბრძოლის დასაწყისად იქცა – დაიწყო საყოველთაო გაფიცვა, რომელიც მონტგომერის ავტობუსის ბოიკოტის სახელითაა ცნობილი. შავკანიანი მოქალაქეები პროტესტის ნიშნად ალარ მგზავრობდნენ ავტობუსებით, რითაც დიდი ფინანსური ზიანი მიაყენეს სატრანსპორტო კომპანიას. პროტესტის არაძალადობრივმა ფორმამ შედეგი გამოიღო და საზოგადოებრივ ტრანსპორტში რასობრივი სეგრეგაციის კანონი გაუქმდა, რაც აშშ-ში შავკანიანთა სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლაში მოპოვებული პირველი დიდი გამარჯვება იყო. შემდგომში პარქსის წინააღმდეგობრივი აქტი და მონტგომერის ბოიკოტი რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი სიმბოლო გახდა.

გლობალური მოქალაქეები ცდილობენ სამყარო შეცვალონ უკეთესობისკენ, მუდმივად ადევნებენ თვალს მსოფლიო და ადგილობრივ მოვლენებს, აქტიურად არიან ჩართული სოციალურ ცხოვრებაში, იჩენენ ინიციატივებს სოციალური პრობლემების გადაჭრაში, როგორც პატარა ქალაქში, ასევე მთელ დედამიწაზე. მსოფლიო მოქალაქე იბრძვის ადამიანის უფლებებისთვის მთელ მსოფლიოში.

სეგრეგაცია (E.Segregation) რაიმე ნიშნის (კანის ფერი, ენის, ეთნიკური წარმომავლობისა და სხვა) საფუძველზე რომელიმე ქვეყნის მიერ საჯუთარი მოსახლეობის მიზანდასახული გამიჯვნის პოლიტიკა.



მარტინ ლუთერ კინგი (უმცროსი) რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდევ

მარტინ ლუთერ კინგი ცნობილია, როგორც არაძალისმიერი ხერხებით სამოქალაქო უფლებების დამცველი. ის ორგანიზებას უწევდა რამდენიმე არაძალადობრივ პროტესტს, მათ შორის 1955 წლის მონტგომერის ავტობუსის ბოკიკოტს.

კაცობრიობას არ დაავიწყდება 1963 წლის მარტში ვაშინგტონში, მარტინ ლუთერ კინგის მიერ ლინკოლნის მემორიალთან წარმოთქმული სიტყვა: „მე მაქვს ოცნება“.

1964 წლის 14 ოქტომბერს, რასობრივ უთანასწორობასთან არაძალადობრივი ბრძოლისთვის მარტინ ლუთერ კინგმა მიღო ნობელის პრემია მშვიდობის დარგში.

მისმა აქტივიზმა და შთამაგონებელმა გამოსვლებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკის მოქალაქე აფროამერიკელების მიმართ სეგრეგაციის დასრულებაში. მას აგრეთვე წვლილი მიუძღვის 1964 წლის სამოქალაქო უფლებების კოდექსის შექმნაში. 1968 წლის 4 აპრილს კინგი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. კინგი მაშინ 39 წლისა იყო.



დავალება: მოიძიეთ ინფორმაცია მარტინ ლუთერ კინგის მოღვაწეობის შესახებ და იმსჯელეთ, რამდენად იყო მარტინ ლუთერ კინგი მსოფლიო მოქალაქე და რატომ? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ. (სარეკომენდაციო მასალა: გადადით ბმულზე და გაეცანით მარტინ ლუთერ კინგის ისტორიულ სიტყვას
<https://cutt.ly/8SjmODz>)

გლობალური მოქალაქეობის კონცეფცია ასოცირდება ჰუმანიზმის ხელშეწყობასთან და ის დროთა განმავლობაში, მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესების განვითარების პარალელურად, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

ჰუმანიზმი (ლათ. Humanus) – ფართო გაგებით – ისტორიულად ცვალებად შეხედულებათა სისტემა, რომელიც ძირითად ლირებულებად თვლის ადამიანის პიროვნებას, აღიარებს მის უფლებას ბედნიერებაზე, თავისუფლებაზე, თანასწორობასა და ყოველგვარი უნარის გამოვლენაზე



დავალება: გაანალიზეთ პარაგრაფში მოცემული ინფორმაცია, გამოკვეთეთ გლობალური მოქალაქეობის მახასიათებლები, მოიყვანეთ მაგალითები; მოცემული ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ. გააკეთეთ პრეზენტაცია კლასის წინაშე.

გლობალური მოქალაქეობა	
მახასიათებლები	მაგალითი
არ ჩანერთ ნიგნში!	

გზა გლობალური მოქალაქეობისკენ



კომპლიქსური დავალება 4

გაიხსენეთ:

- დაასახელეთ თქვენი თვისებების/უნარების/შესაძლებლობების ორი სუსტი და ორი ძლიერი მხარე;
- რას აკეთებთ იმისთვის, რომ შეიცვალოთ უკეთესობისკენ? დაასახელეთ კონკრეტული მაგალითები.

ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ადმირალ უილიამ მაკრეივენის საჯარო სიტყვა წარმოთქმულია 2014 წ. ტეხასის შტატის (აშშ) დედაქალაქ ოსტინში, ტეხასის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ საზეიმო ცერემონიაზე.

ქართული სუბტიტრების მქონე ვიდეოვერსიაში ადმირალის ზეპირი გამოსვლის ტექსტი მოყვანილია შემოკლებით.

<https://www.myvideo.ge/v/3404957>

გაეცანით უილიამ მაკრეივენის საჯარო სიტყვას



თუ გინდათ შეცვალოთ მსოფლიო, ჯერ გაასწორეთ საკუთარი საწილა.

როცა თქვენ დილით ასწორებთ საწოლს, თქვენ ასრულებთ დღის პირველ დავალებას. ეს მოგცემთ სიამაყის პატარა შეგრძნებას და მხენეობას, შეასრულოთ შემდეგი დავალება, შემდეგ – მესამე, შემდეგ – მეოთხე, და დღის ბოლოსთვის ერთი დავალების შესრულებას მოჰყვება ბევრი სხვა დაგალების შესრულება. ამ საწოლის გასწორებით თქვენ ასევე ადასტურებთ ფაქტს, რომ პატარა ამოცანებსაც აქვთ ცხოვრებაში მნიშვნელობა. თუ არ შეგიძლიათ პატარა ამოცანების კარგად შესრულება, თქვენ ვერასდროს შეძლებთ დიდი ამოცანების შესრულებას. და თუ რაიმე მიზეზით დღე უილბლო გამოდგება, თქვენ დაბრუნდებით სახლში, სადაც საწოლი გასწორებულია – საწოლი, რომელიც თქვენ გაასწორეთ, და ეს გასწორებული საწოლი თქვენ გაგამხნევებთ, რომ ხევალინდელი დღე უკეთესი იქნება.

„ზღვის ლომების“* გამოცდა რომ ჩააბაროთ, უნდა გაიაროთ ვარჯიშების სერია გრძელ დისტანციაზე ცურვაში. ერთ-ერთია ღამის ცურვა. გაცურვის წინ ინსტრუქტორები სიცილით უყვებიან სტუდენტებს ყველა სახეობის ზვიგენზე, რომლებიც სან კლემენტეს* წყლებში ცურვენ. თუმცა გარნებუნებენ, რომ ჯერ არცერთი სტუდენტი არ შეუჭამია ზვიგენს – ყველ შემთხვევაში, მსგავსი რამ არავის ახსოვს. მაგრამ ასევე გასწავლიან: თუ ზვიგენი გარშემო გიტრიალებს, დარჩით ადგილზე, არ გაცუროთ მისგან, არ აჩვენოთ შიში. და თუ ზვიგენი გადაწყვეტის თქვენით წაიხემსოს და თქვენკენ წამოვა, მოკრიბეთ მთელი თქვენი გამბედაობა და მთელი ძალით ჩაარტყით ცხვირში. ის მიბრუნდება და გაგეცლებათ.

მსოფლიოში ბევრი ზვიგენია. თუ გსურთ დაასრულოთ თქვენი გაცურვა, მოგიწევთ მათთან გამკლავება. ასე რომ, თუ გინდათ შეცვალოთ მსოფლიო, არ დაწებდეთ ზვიგენებს.

რამდენიმე კვირის მძიმე ვარჯიშების შემდეგ ჩემი ჯგუფი, რომელიც თავდაპირველად 150 კაცისგან შედგებოდა, 42 კაცამდე შემცირდა. იყო 6 ნაგი, თითოეულში – 7 კაცი. მე ვიყავი ნავში მაღალ ბიჭებთან ერთად, მაგრამ საუკეთესო სანაოსნო გუნდი, რომელიც გვყავდა, შედგებოდა დაბალი ბიჭებისგან. ჩვენ მათ მანჩქინების* გუნდს ვეძახდით. არცერთი მათგანი არ იყო 1,67 მ-ზე მაღალი. ამ გუნდის ნევრები იყვნენ ერთი ამერიკელი ინდიელი, ერთი აფროამერიკელი, ერთი ამერიკელი პოლონელი, ერთი ამერიკელი ბერძენი, ერთი ამერიკელი იტალიელი და ორი ყოჩალი ბიჭი შუა დასავლეთიდან.* მათ ნიჩბოსნობაში, ცურვასა და სირბილში გადაასწრეს ყველა გუნდს. მაღალი ბიჭები სხვა გუნდებიდან ყოველთვის ხუმრობდნენ მათ პანაზუნა ლასტებზე*, რომლებსაც ისინი თავიანთ პანაზუნა ფეხებზე იცვამდნენ ყოველი

თავი 1 გლობალური მოქალაკეობა

გაცურვის წინ. მაგრამ როგორდაც ეს პატარა ბიჭები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ყველთვის ცურავდნენ ყველა ჩვენგანზე სწრაფად და ყველა ჩვენგანზე ადრე აღნევდნენ ნაპირს.

საზღვაო ძალებმა ჩვენ გაგვათანაბრა. არაფერს აქვს მნიშვნელობა, გარდა წარმატების მიღწვევის სურვილისა: არც შენი კანის ფერს, არც შენს ეროვნებას, არც შენს განათლებას, არც შენს სოციალურ სტატუსს.* თუ გინდათ შეცვალოთ მსოფლიო, შეაფასეთ ადამიანები მათი გულის სიდიდით და არა მათი ლასტების ზომით.

ნერთნების მეოთხე კვირას „ჯოვონეთურ კვირას“ უწოდებენ. ეს არის 6 დღე ძილის გარეშე, მუდმივი გონიერივი და ფიზიური დატვირთვა და ერთი განსაკუთრებული დღე ტალახიან დაბლობში. ტალახიანი დაბლობი არის ერთი ადგილი სან-დიეგოსა* და ტიხუანას* შორის, სადაც წყალი ჩაედინება, იტბორება და წარმოიშვება ტიხუანას ჭაობი. ეს დაჭაობებული ტალახი გიორებს და შენ შთანთქმას* ცდილობს. ეს იყო „ჯოვონეთური კვირას“ ოთხშაბათი. 15 საათი უნდა უსვა ნიჩაბი ამ ტალახში, გაუძლო აუტანელ სიცივეს, ქარს და ინსტრუქტორების გამუდმებულ ზენოლას. იმ ოთხშაბათს, მზის ჩასვლისას, ჩემი ჯგუფი არ დაემორჩილა რაღაც წესს. გვიბრძანეს ჩავსულიყავით ამ ტალახში. ყველანი კისრამდე ტალახში ვიყავით ჩაფლული ისე, რომ ჩვენი თავების გარდა არაფერი ჩანდა. ინსტრუქტორებმა გვითხრეს, რომ თუ ხუთი ჩვენგანი დანებდებოდა, შეგვეძლო ამოვსულიყავით იმ ტალახიდან. მხოლოდ ხუთი ადამიანი, სულ რაღაც ხუთი ადამიანი და ყველა თავს დავალნევდით იმ აუტანელ სიცივეს. მე ვხედავდი ჩემ გარშემო კურსანტებს, რომლებიც მზად იყვნენ დანებებოდნენ. მზის ამოსვლამდე 8 საათი იყო დარჩენილი. კიდევ 8 საათი, როცა სიცივე უკვე ძვლებში გვქონდა გამჯდარი. კანკალისა და კურსანტების კვნესისგან ისეთი ხმაური იდგა, რომ ძნელი იყო სხვა რამის გარჩევა. შემდეგ დამის წყვდიადში ექისავით გაისმა ერთი ხმა, ხმა, რომელიც ნელ-ნელა სიმღერად იქცა. მომღერალი საშინლად იყო ამოგარდნილი ტონალობიდან, მაგრამ მღეროდა უდიდესი ენთუზიაზმით. ერთი ხმა იქცა ორ ხმად, ორი ხმა – სამად და ცოტა ხანში მთელი ჯგუფი მღეროდა. ინსტრუქტორები დაგვემუქრნენ, რომ უფრო დიდხანს დაგვტოვებდნენ ჭაობში, თუ არ შევწყვეტდით სიმღერას, მაგრამ ჩვენ ვაგრძელებდით სიმღერას და როგორდაც ტალახი თითქოს ცოტათი გათბა, ქარი თითქოს ცოტათი ჩადგა და მზის ამოსვლაც თითქოს არ იყო შორს. თუ რამე ვისწავლე მსოფლიოში მოგზაურობისას, არის ის, თუ რა ძალა აქვს იმედს, რა ძალა აქვს ერთ ადამიანს: ვაშინგტონს, ლინკოლნს, კინგს, მანდელას, თუნდაც პატარა გოგოს პაკისტანიდან – მალალას. ერთ ადამიანს შეუძლია შეცვალოს მსოფლიო იმით, რომ მისცეს ადამიანებს იმედი.

ასე რომ, თუ გინდათ შეცვალოთ მსოფლიო, დაიწყეთ ყოველი დღე ამოცანების შესრულებით, იპოვეთ ის, ვინც გვერდში დაგიდგებათ მთელი ცხოვრება, პატივი ეცით ყველას. იცოდეთ, რომ ცხოვრება არ არის ყოველთვის სამართლიანი და თქვენც ხშირად დაუშვებთ შეცდომებს. მაგრამ თუ გარისკავთ, უმძიმეს დროშიც კი შეინარჩუნებთ ღირსებას, წინ აღუდგებით ჩაგვრას, გაამხნევებთ დაჩაგრულს და არასდროს დანებდებით, თუ შეძლებთ ყველაფერ ამას, მაშინ თქვენი შემდეგი თაობა და თაობები, რომლებიც მის მერე მოვლენ, იცხოვრებენ ბევრად უკეთეს სამყაროში, ვიდრე ჩვენ გვაქვს დღეს. და ის, რაც აქ დაიწყო, აუცილებლად შეცვლის მსოფლიოს უკეთესობისკენ.

სიტყვათა განმარტება

ზღვის ლომები – ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების სპეციალური ქვედანაყოფი, აშშ არმიის ელიტური ნაწილი, რომელიც ასრულებს სადაზვერვო, საძიებო-სამაშველო და სამხედრო-ტატიკურ ოპერაციებს.

ლასტები – იგულისხმება საცურაო ლასტები.

მანჩკინი (ინგლ. muncie) – ჩრდილოეთი ამერიკის სასაუბრო მეტყველებაში ეს სიტყვა აღნიშნავს დაბალი ტანის ადამიანს ან ბავშვს.

სენ კლემენტე – კუნძული წყნარ ოკეანეში, კალიფორნიის (აშშ-ს დასავლეთი) სანაპიროსთან.

სოციალური სტატუსი – პოზიცია, მდგომარეობა, რომელიც ადამიანს უკავია საზოგადოებაში.

ტიხუანა – ქალაქი მექსიკის უკიდურეს ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში, აშშ-ის საზღვრის სიახლოეს.

შეა დასავლეთი (ინგლ. Midwest) – ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი რეგიონი, რომელიც მდებარეობს ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში.

კომპლექსური დავალების პირობა

ადმირალი უილიამ მაკრეივენი ახალგაზრდებს დიდი საქმეების გაკეთებამდე ყოველ-დღიური ამოცანების შესრულებისკენ მოუწოდებს. თქვენც დაისახეთ კონკრეტული ამოცანა – შეარჩიეთ თქვენს თემში/ქალაქში/დაბაში/სოფელში არსებული აქტუალური საკითხი (პრობლემა/მიღწევა), რომელიც მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ევრო-პულ ოჯახში ინტეგრაციისთვის (ეს შეიძლება იყოს: საზოგადოების ღირებულებებითი, ეკოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები და ა.შ.). ჩანერეთ ინტერვიუები მოქალაქეებთან, გაარკვიეთ მათი დამოკიდებულებები და შეფასებები შერჩეულ საკითხთან დაკავშირებით და მოამზადეთ რეპორტაჟი (ვიდეო ან წერილობითი), რომელშიც გააშუქებთ შერჩეულ საკითხს.

რეპორტაჟში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორ უკავშირდება პიროვნული შესაძლებლობების რეალიზება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და რა გავლენას ახდენს ქვეყნის ევროპული ორიენტაცია ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე;
- რატომ არის მნიშვნელოვანი ციფრული კომპეტენციების ფლობა პიროვნებისა და სოციუმის ჰარმონიული ურთიერთობისთვის;
- როგორია წარმოდგენილი საკითხის გლობალური მნიშვნელობა და პერსპექტივა ჩვენი ქვეყნის წინსვლისა თუ საზოგადოების მდგრადი განვითარებისათვის.



რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

მოსაზრებები ჩაინიშნეთ მოცემულ სქემაში (სქემა გადაიტანეთ რვეულში)

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?
არ	ჩანერო წიგნში!	

საკვანძო შეკითხვა:

როგორ წარმოვაჩინო რეპორტაჟში ჩემს ირგვლივ არსებული პრობლემები თუ მიღწევები ისე, რომ გამოვკვეთო მისი გლობალური მნიშვნელობა?

§ 8 „მე ვარ ქართველი და მაშასადამე ვარ ევროპელი“

საკითხის გაცნობამდე უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- საქართველო ევროპის ნაწილია თუ აზიის?
- რა იცით საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის ისტორიული კავშირის შესახებ?

←

**ევროკავშირი
საქართველოსთვის**

→

9 მაისს ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები მშვიდობისა და ერთაონბის აღსანიშნავად ევროპის დღეს ზემობენ, რომელსაც საქართველოში ევროკავშირის ნარმომადგენლობა ყოველწლიურად უერთდება. ევროპის დღეს ასევე აღვნიშნავთ ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობას. ევროპის დღის აღნიშვნით საქართველო ყოველთვის ხაზს უსვამს საერთო ევროპული ფასეულობების - თავისუფლების, დემოკრატიის, უსაფრთხოების, თანასწორობის იდეის მნიშვნელობას. ქართველ ერს, ისტორიულად მნიშვნელოვანი წელილი აქვს შეტანილი ამ ფასეულობების ფორმირებასა და დაცვაში. სწორედ ეს საერთო ღირებულებებია, რომლებიც ქართველ ხალხს ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრად აქცევს.

უკვე 25 წლია ევროკავშირი საქართველოს მხარდამჭერი და უმსხვილესი დონორია. დღეს, ევროკავშირს საქართველოში 200-ზე მეტი აქტიური პროექტი აქვს, რომელთა საერთო ღირებულება 500 მილიონ ევროს აღემატება. ამ პროექტების ფარგლებში ევროკავშირი ეხმარება საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, ინსტიტუტების გაძლიერებაში, გარემოს დაცვაში, მობილობის და ხალხთა შორის კონტაქტების გაღრმავებაში. ქართულ ბიზნესს ევროკავშირის ბაზარზე წვდომის შესაძლებლობა მიეცა, 7,000-ზე მეტმა სტუდენტმა უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამებით ისარგებლა, 40,000-ზე მეტმა ქართულმა ბიზნესმა ევროკავშირისგან მხარდაჭერა მიიღო.

გასულ წლებში, თბილისსა და საქართველოს რეგიონებში ევროპის დღეების აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებებში 100,000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.

წყარო: <https://eu4georgia.eu/ka/europe-day-2021/>



იმუშავეთ წყვილებში

ქვემოთ მოცემული ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და ჩამონიშვილი:

- ა) მთავარი ფასეულობები, ღირებულებები, რომელიც ქართველ ხალხს გახდის ევროპული ოჯახის სრულუფლების წევრად. მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები;
- ბ) ის ახალი შესაძლებლობები ჩვენი ქვეყნისთვის, რაც მოჰყვება ევროკავშირის წევრად საქართველოს აღიარებას.

ფასეულობები, ღირებულებები	კონკრეტული მაგალითები
არ ჩანარო	ნიგბა!
ახალი შესაძლებლობები	ახალი ნიგბა!



იმსჯელეთ, რა უნდა გააკეთოს საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ იმისთვის, რომ საქართველო ევროპის ოჯახის ღირსეული წევრი გახდეს?

საქართველო ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარებას ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში ცდილობდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია 1713-1716 წლებში ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა საფრანგეთსა და იტალიაში. ის ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის დავალებით ევროპის ქვეყნებში ელჩიად იქნა მივლინებული. საფრანგეთის სამეფო კარზე საქართველოს ელჩის მოლაპარაკების დროს განიხილებოდა შემდეგი საკითხები:

- საქართველოსა და საფრანგეთს შორის ვაჭრობის დამყარება და გაფართოება;
- საქართველოს ტერიტორიის ევროპა-აზიის დამაკავშირებელ სავაჭრო გზად, ხოლო თბილისის – საქონლის საწყობად გამოყენება;
- საქართველოსა და საფრანგეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის დამყარება;
- საქართველოში (თბილისში) საფრანგეთის საკონსულოს შექმნა და სხვა.
- მჭიდრო კავშირის დამყარება კათოლიკე ეკლესიასთან.



მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდა ცნობილი ისტორიული მოვლენების გამო. სულხან-საბა ორბელიანმა დაგვიტოვა ამ მოგზაურობის ამსახველი მხატვრულ-დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ნიმუში – „მოგზაურობა ევროპაში“, რომელშიც ასახა ევროპასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მცდელობის ფაქტი, ასევე ქართველებს გააცნო საფრანგეთისა და იტალიის ქალაქები, მოქალაქეები და მათი ცხოვრება.

კაცობრიობის ისტორიაში არაერთი მაგალითი არსებობს, რომლებიც ქართველების საერთაშორისო საზოგადოების წევრობას ადასტურებს. ევროპის ქვეყნებთან ისტორიული კავშირები და საერთო ლირებულებები მცირე ისტორიულ ეპიზოდებშიც ნათლად ჩანს.

ცოტა რამ ისტორიიდან

ერთი ამბავი ტფილისელ ასოთამწყობთა დეპეშისა

... ასოთამწყობი შესაბური პატიოსნებითა და რუდუნებით ემსახურებოდნენ საკუთარ საქმესა და პროფესიას. რის ერთ-ერთ დასტურადაც უცვლელად გთავაზობთ გამორჩეულ ამბავს იმ მისალოცი დეპეშის შესახებ, რომელიც პირველი ევროპელი მესტამბის ხუთასი წლის იუბილუზე, ჩვენებურმა ასოთამწყობმა და მბეჭდავებმა იოპან გუტენბერგის მშობლიური ქალაქის – მაინცის მოურავს გაუგზავნება: „ტფილისის ოთხასი ასოთამწყობი და მბეჭდავი ვდღესასწაულობთ ხუთასი წლის დაბადების დღეს უდიდესი გამომგონის გუტენბერგისას და ვულოცავთ ქალაქ მაინცს, რომელმაც კაცობრიობას ასეთი შესანიშნავი პირი აჩუქა.“



პირველი სტამბა აქ დაარსა საქართველოს მეფემ 1709 წელს. ამჟამად არის 18 სტამბა და თითქმის ამდენივე პროვინციის დაბა-ქალაქებში.

გერმანელის გამოგონების წყალობით, ცოდნა და განათლება გადემოკრატდა, ხალხისათვისაც ხელმისაწვდენი შეიქმნა, რის გამოც, ჩვენ, აზიელ მუშებსაც, შეძლება მოგვეცა დღეს თქვენ, ევროპიელთ, გამოგელაპარაკოთ და ჩვენი აზრები გაცნობოთ.

გაუმარჯოს მაინცს, გაუმარჯოს გერმანიის ხალხს!“

წყარო: *forbes*, 11 იანვარი 2022 წ.- გაზირ „ივერიის“ სტამბა, 1902 წ. /
ეროვნული ფოტომატიანე.

თავი 1 გლობალური მოქალაქეობა



ასოთამწყობთა დეპეშის საფუძველზე იმსჯელეთ ქართულ-გერმანულ ურთიერთობებზე მე-20 საუკუნის დასაწყისში.

საქართველოს ურთიერთობები ევროპის ქვეყნებთან საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კერძოდ, 1992 წლიდან, ევროკავშირთან ურთიერთობებში გადაიზარდა და წლების განმავლობაში სულ უფრო მეტად ღრმავდება. 1999 წლის 27 იანვარს, სტრასბურგის დროით 12:00 საათზე (თბილისის დროით 15:00 საათზე) საქართველო ევროპის საბჭოს წევრი გახდა. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ერთ-სულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს განევრიანებას ევროპის საბჭოში. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის იმდროინდელმა თავმჯდომარემ ზურაბ უვანიამ.



„საუკუნეების განმავლობაში ჩვენი სამშობლო იბრძოდა და-მოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, განუმეორებელი, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. საქართველოს ხალხმა წარმოუდგენელი სიძნელეები და განსაცდელი გამოიარა და ალბათ, თქვენ გესმით, ჩემი და საქართველოს დელეგაციის თითოეული წევრის მღელვარება... დღევანდელ ისტორიაზე. დღეს, როდესაც თქვენ საქართველოს გზა დაულოცეთ ევროპულ ოჯახში დასაბრუნებლად. მე ბედნიერი ვარ და ამაყი ვარ იმით, რომ სწორედ ჩვენს თაობას წილად ხვდა პატივი აქ – ევროპის სასახლის ტრიბიუნიდან წარმოვთქვა ქართულად ეს რამდენიმე სიტყვა: მე ვარ ქართველი და, მაშასა-დამე, მე ვარ ევროპელი.“



წყარო: <https://www.myvideo.ge/v/1928129>

ზურაბ უვანიას თქმით, საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი რეგიონული არქიტექტურის შექმნაში, აბრეშუმის გზის აღდგენის კონცეფციას სრულიად ახალი რეგიონული თანამშრომლობისკენ მივყავართ, რაც რეგიონს სტაბილურობასა და აყვავებას მოუტანს. მისი განცხადებით, ეს იქნება საქართველოს წვლილი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში.



„ძალიან კარგად მახსოვს ეგ მომენტი, ის დღე, ის ღამე, როდესაც ზურამ გამიზიარა ყველაფერი, რა უნდა თქვას იმ დღეს. ... დილას ყველაფერი ის თქვა, რასაც მე მეუბნებლი და უცებ, ჯერ ქართულად თქვა, „მე ვარ ქართველი და მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“ და მერე თქვა ინგლისურად, რამაც მართლა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, იმდენად დიდი, რომ ზურაბ უვანიას ვარსკვლავი რომ გახსნეს ევროპის საბჭოს წინ, ეს სიტყვებია ამოტვიფრული, “-განაცხადა საქართველოს პირველმა ელჩმა ევროსაბჭოში ლანა ლოლობერიძემ.“

წყარო: ipress.ge – რუბრიკა - პოლიტიკა – 26 მაისი, 2021 წ.



დავალება:

როგორ ფიქრობთ, რა შესაძლებლობები მისცა საქართველოს მოქალაქეებს ევროპასთან კავშირის დამყარებამ?

2019 წლის 10 აპრილს, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს სასახლის წინ, იქ, სადაც იმ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების ვარსკვლავებია განთავსებული, რომლებსაც ევროპის საბჭოს მუშაობაში განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი – უინსტონ ჩერჩილის, შარლ დე გოლის, ბან გი მუნის, ჰელმუტ კოლის და სხვათა ვარსკვლავების გვერდით გაიხსნა ქართველი პოლიტიკოსის – ზურაბ უვანიას სახელობის ვარსკვლავი, წარწერით „მე ვარ ქართველი და მაშასადამე მე ვარ ევროპელი“.



დავალება, გამართეთ დისკუსია

- რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის ზურაბ უვანიას ესოდენ დიდ დაფასებას?
- რა როლი შეასრულა ამ ფაქტმა საქართველოს, როგორც გეოგრაფიულად ევროპა-აზიის გასაყარზე მდებარე ქვეყნის, გლობალური მნიშვნელობის გააზრებაში?

ევროკავშირისა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობები უფრო ინტენსიური 2003 წლიდან ხდება, როცა საქართველო აქტიურად იწყებს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას. ამ ურთიერთობებში სრულიად ახალი ეტაპი კი 2014 წლის 27 ივნისიდან იწყება, როდესაც საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი.



ასოცირების შესახებ შეთანხმება არის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს.

შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი. შეთანხმებაში ასევე აღნიშნულია, რომ ის საერთო ლირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა – წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველს.

ევროპასთან ასოცირების შეთანხმება ადგენს იმ კონკრეტულ სფეროებს, რომლებშიც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს კონკრეტული რეფორმები:

- საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა
- საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა
- მართლმაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება
- დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა (ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონული განვითარება და სხვა)
- ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები



წყარო: საქართველო და ევროკავშირი – საინფორმაციო ცენტრი, old.infocenter.gov.ge



იმსჯელეთ, როგორ აისახება საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხზე ევროკავშირთან ურთიერთობების გალრმავება?

თავი 1 გლობალური მოქალაქეობა



საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოქალაქეთა მობილურობის ხელშეწყობას, კერძოდ, უფიზო რეჟიმის შემოღებას.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტერესების მიზანის ევროკავშირის შიდა ბაზარს. ის გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.



იმსჯელეთ,

- რა პერსპექტივას უქმნის საქართველოს ეკონომიკას ევროპის ბაზარზე გასვლა და, შესაბამისად, რა სახის პასუხისმგებლობას აკისრებს ქართულ ბიზნესს გლობალურ სავაჭრო პროცესებში ჩართვა?
- როგორ ფიქრობთ, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში წარმოებული პროდუქცია იმისათვის, რომ მისთვის გაიხსნას ევროპული ბაზარი?

რა ნიშნავს უფიზო რეჟიმი?

უფიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს.



სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ინგლ. International Organization for Standardization) – ISO არის დამოუკიდებელი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც წევრი ქვეყნებს წარმომადგენელი ექსპერტების დახმარებით ადგენს სტანდარტებს სხვადასხვა სფეროში.

ორგანიზაცია დაარსდა 1947 წლის 23 თებერვალს. ის მთელ მსოფლიოში ავრცელებს კერძო სამრეწველო და კომერციულ სტანდარტებს. ორგანიზაციის მთავარი ოფისი მდებარეობს უნენევაში (შვეიცარიაში).



ISO ყველაზე მაღალი დონის საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციაა. მას მსოფლიოს 164 ქვეყანაში ენდობიან. ISO სერტიფიკატის როლი განსაკუთრებით დიდია საერთაშორისო ვაჭრობაში, რადგან სტანდარტიზაციას ჰარმონიაში მოჰყავს სხვადასხვა ქვეყნის რეგულაციები.

ISO სერტიფიცირება მნიშვნელოვანია ქართველი მენარმეებისთვის, რადგან ამ სერტიფიკატის მფლობელ მენარმეებს ბევრი უპირატესობა აქვთ კონკურენტებთან შედარებით, მაგალითად:

1. მომხმარებლის ნდობა – ISO სერტიფიკატი ნიშნავს, რომ პროდუქტი უსაფრთხოა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისადაა დამზადებული.

2. პროდუქციის ექსპორტზე გატანის შესაძლებლობები – კომპანიას მარტივად შეუძლია შევიდეს ახალ, საერთაშორისო ბაზარზე, რადგან მისი პროდუქტი გლობალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

გლობალური მოქალაქეობა თავი 1

დღეისათვის საქართველოში დაახლოებით 200 კომპანიაზე მეტს აქვთ ISO-ს სერტიფიკატი.

ქართული პროდუქციის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა მსოფლიო საზოგადოების ქართული პროდუქტებით დაინტერესებას იწვევს. საქართველოში შესაძლებელია ეკოლოგიურად სუფთა, ბიოპროდუქტების წარმოება, რაც ასე სჭირდება არა მხოლოდ ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს ბაზარს. ექსპორტზე გატანილ პროდუქციას საქართველოში შემოაქვს ვალუტა, რაც საქართველოს ეკონომიკის გაძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. ეკონომიკის გაძლიერება კი, თავის მხრივ, ქვეყანაში სილარიბის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, ევროკავშირის წარმომადგენლები აქტიურად ეხმარებიან საქართველოს მთავრობას, ქართველ მეწარმეებსა და ფერმერებს ევროპის ბაზარზე პროდუქციის გატანაში.

← X




თაფლის წარმოება საქართველოში

თაფლის სექტორს საქართველოში ისევე, როგორც კენკრას, აქვს დიდი პოტენციალი და იმავდროულად უამრავი პრობლემა, რაც აფერხებს ადგილობრივი ფრმერების წინსვლას. თაფლის ამჟამინდელი წარმოება ქვეყანაში დაბალ ნიშნულზეა და ზრდის ტემპიც საკმაოდ მცირეა. ქართული თაფლი უნიკალური არომატითა და გემოთი გამოიჩინა, ამიტომ ის ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენაზე. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2015 და 2018 წლებში ექსპორტის მოცულობა შედარებით მაღალი იყო. ამ წლებში უცხოეთში, შესაბამისად, 73 ათასი და 70 ათასი დოლარის თაფლი გაიყიდა. 2019 წლის პირველ ორ კვარტალში ექსპორტირებული თაფლის ღირებულება 40% -ით ნაკლებია 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და 12 ათას დოლარს შეადგენს.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველო არ იყენებს ამ უპირატესობას, რაც მას პროდუქტის ხარისხის თვალსაზრისით გააჩნია და ასევე, რასაც ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ანიჭებს. ადგილობრივი თაფლის მნარმოებლები კვლავაც ვერ ახერხებენ ახალ ბაზარზე გასვლას. სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიიჩნევენ და თაფლის წარმოება იმდენად მცირეა, რომ მისი ევროპის ბაზრისთვის რეგულარული მინიჭება შეუძლებელია.

წყარო: www.eugeorgia.info 3 ოქტომბერი, 2019 წ



იმუშავეთ ჯგუფებში

როგორც ხედავთ, ქართული თაფლის მაღალი ხარისხისა და მასზე დიდი მოთხოვნილების მიუხედავად, მეწარმეებს უჭირთ ახალ ბაზარზე დამკვიდრება. სოფლის მეურნეობის სამინისტროში კი მიიჩნევენ, რომ თაფლის წარმოება იმდენად მცირეა, მისი ევროპის ბაზრისთვის რეგულარული მიწოდება შეუძლებელია. **თქვენ როგორ თვლით,** რა სჭირდებათ ქართველ ფერმერებს იმისათვის, რომ დამკვიდრდნენ ევროპის ბაზარზე? ჩამოწერეთ რეკომენდაციები მეწარმეთათვის.

საქართველო აქტიურად აგრძელებს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს და ამ პროცესის შესაბამისად სახელმწიფოებრივ განვითარებას.

თავი 1 გლობალური მოქალაკეობა



ევროპაში ქართული ლიტერატურა ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი გერმანიაში

პროექტს „ქართული ლიტერატურა თარგმანებში“ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი 2014 წლიდან ახორციელებს. როგორც ცენტრში ამბობენ, მათი თანადაფინანსებით, უცხოურმა გამომცემლობებმა მთლიანობაში თარგმნეს 130-მდე ქართულენოვანი ნაწარმოები. ყველაზე მეტი წიგნი გერმანულ ენაზეა თარგმნილი. გერმანულს ინგლისურენოვანი გამოცემები მოსდევს. ქართული ლიტერატურა ასევე ითარგმნება იტალიურ, ფრანგულ, შვედურ, უსპანურ და სხვა ენებზე.

ყოველ წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო წარმოდგენილია საკუთარი ეროვნული სტენდით. ამ ბაზრობაზე მონაწილეობა უნიკალური შესაძლებლობაა საქართველოს არა მხოლოდ წიგნის, არამედ მთელი კულტურული მემკვიდრეობის და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ევროპისა და მსოფლიოსთვის გაცნობისთვის.

წყარო: www.netgazeti.ge 28 მარტი, 2017 წ.

ევროპასთან ინტეგრაცია კულტურისა და მეცნიერების სფეროში მოღვაწე საქართველოს მოქალაქეებს ახალ პერსპექტივებს უქმნის.

ქართველი მეცნიერები აქტიურად არიან ჩართული გლობალურ სამეცნიერო პროცესებში.

გია დვალი – ქართველი მეცნიერი, ფიზიკოსი. ამჟამად, არის ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი თეორიულ ფიზიკაში. 2001 წელს მიიღო ნიუ-იორკის მერის მიერ დაწესებეული ჯილდო განსაკუთრებული მიღწევებისთვის მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში. 2007 წელს მიიღო ნიუ-იორკის უნივერსიტეტის „ვერცხლის პროფესორის“ წიგნება, ხოლო 2008 წელს მიენიჭა ჰუმბოლდტის პრემია, რომელიც გერმანიის უმაღლესი ჯილდოა უცხოელი მეცნიერებისთვის. მონაწილეობას იღებს დიდი ადრონული კოლაიდერის ექსპერიმენტში. 2010 წლიდან არის მაქს პლანკის ინსტიტუტის (მიუნხენი, გერმანია) სამეცნიერო დირექტორი. გია დვალი ენევა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში. ის არის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორი.



დღეს არსებული გლობალიზაციის პირობებში ქართველ მეცნიერებს აქვთ იმის საშუალება, რომ ერთდროულად იმოღვაწონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ამავდროულად საქართველოშიც იზრუნონ მომავალი თაობის განათლებაზე, ასევე ქართველ ახალგაზრდებსაც ეძლევათ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში განათლების მიღებისა და საკუთარი ცოდნის, შესაძლებლობების უცხოეთში რეალიზების საშუალება.



საქართველოს ახალგაზრდა ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში

მარიკა რურუა ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს. სწორედ ის შეარჩია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ავსტრიაში ახალგაზრდა ელჩის კანდიდატურაზე.

წყარო: <https://cutt.ly/9DzCges>



კოლუმბიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გიორგი მჭედლიშვილი. გიორგიმ გუნდთან ერთად, კომერციული თვითმფრინავის მომავლის მოძღვის შექმნა და NASA-ს აერონავტიკის კონკურსში გაიმარჯვა



წყარო: <https://cutt.ly/jDzCSA8>



იმსჯელეთ, რამდენად უწყობს ხელს ქვეყნის მდგრად განვითარებას ახალგაზრდების უცხოეთში მიღებული განათლება და გამოცდილება. თქვენი აზრით, რა უმთავრესი პირობაა საჭირო იმისთვის, რომ მართლაც წარმატებულად ჩატარდეს ყველა ის რეფორმა, რომელიც საქართველოს გაუხსნის კარს ევროკავშირის ოჯახში შესასვლელად? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ არგუმენტირებულად.

როგორც უკვე იცით, მდგრადი განვითარება გულისხმობს მოკლე, საშუალო და რაც ყველაზე მთავარია, გრძელვადიანი ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევას ბუნების რესურსების ოპტიმალური გამოყენების გზით. ეკონომიკის განვითარებისთვის უმთავრესია ადამიანური კაპიტალის არსებობა. ჩვენს ეპოქაში კი, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხანაში, რა არის იმაზე უკეთესი რესურსი, ვიდრე განათლებული საზოგადოებაა?!

ცოტა რამ ისტორიიდან

ნიკო ნიკოლაძე

მე-19 საუკუნეში პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ახალგაზრდები ესწრაფვოდნენ ევროპული განათლების მიღებას და მიღებული ცოდნის თავის სამშობლოსთვის მოხმარებას. ერთ-ერთი მათგანი – ნიკო ნიკოლაძე, 1864 წელს სწავლის გასაგრძელებლად წავიდა საფრანგეთში, სორბონას უნივერსიტეტში. 1866 წელს მან ფრანგულ ენაზე გამოსცა თავისი პირველი წიგნი „მთავრობა და ახალი თაობა“. საფრანგეთიდან გაემგზავრა შვეიცარიაში, სადაც სწავლობდა ჟენევისა და ციურისის უნივერსიტეტებში. 1868 წელს დაამთავრა ციურისის უნივერსიტეტი და დაიცვა დისერტაცია თემაზე „განიარაღება და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები“ (ფრანგულ ენაზე ცალკე წიგნად გამოვიდა ჟენევაში), რისთვისაც მიენიჭა ციურისის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი. 1869 წელს ნიკო ნიკოლაძე დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო უცხოეთში მიღებული ცოდნის ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენება. ევროპაში ცხოვრებამ ნათლად დაანახა, რომ სახელმწიფოს განვითარების მთავარი გარანტი განათლებაა, ამიტომ ყველაზე აქტიურად სწორედ განათლების გავრცელებას უწყობს ხელს. ამის ადასტურებს ისტორიული ფაქტი. ის თავის



თავი 1 გლობალური მოქალაქეობა

ორ დას, ორ დეიდაშვილს და მომავალ მეუღლეს – ოლიკო გურამიშვილს – ბიჭურად გა-დაცმულებს ჩუმად უშვებს შვეიცარიაში, განათლების მისალებად, რადგან ქალებისთვის საზღვარგარეთ სწავლის უფლების მიცემა იმ პერიოდში აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო. 1894-1912 წლებში მისი ხელმძღვანელობით ჭაობიანი პატარა ფოთი მოკლე დროში დიდი პერსპექტივების მქონე ქალაქად გადაიქცა. მან პირველმა დაბეჭდა ობლიგაციები, ლატარიის ბილეთები და მთელი შემოსავალი ფოთის კეთლმონაბას მოახმარა. ნიკოლა-ძემ გაატარა ღონისძიებები ჭაობების ამოსაშრობად, ხელმძღვანელობდა ნავსადგურის, ელექტროსადგურის, მუზეუმის, საკათედრო ტაძრის, გიმნაზიებისა და ხიდების მშენებლობას, გაიყვანა სატელეფონო ქსელი და გამართა საქალაქო ტრანსპორტი. მისი პროექტით განხორციელდა ფოთის დაგეგმვარება. 1917-1918 წლებში ნიკოლაძე იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. 1918 წლის 26 მაისს მან ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

წყარო: forbeswoman.ge, 2 მარტი, 2021 წ.



დავალება

წარმოდგენილი ორი დავალებიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი.

1. წარმოიდგინეთ, რომ გაქვთ თქვენი ბიზნესი და მსოფლიო ბაზარზე გსურთ პროდუქტის ან მომსახურების გატანა. შექმნით რეკლამა ვიდეორგოლის, ბუკლეტის, PowerPoint-ის (ან სხვა მსგავსი პროგრამის) სლაიდშოუს, პლაკატის/პოსტერის სახით
2. წარმოიდგინეთ, რომ შეგარჩიეს საქართველოს ახალგაზრდა ელჩად რომელიმე ქვეყანაში. გსურთ აჩვენოთ, რომ ევროპის ნაწილი ხართ კულტურით, ლირებულებებით, ტრადიციებით, სხვადასხვა სფეროში მიღწევებით. შეარჩიეთ რომელიმე მიმართულება და შექმნით რეკლამა ვიდეორგოლის, ბუკლეტის, PowerPoint-ის (ან სხვა მსგავსი პროგრამის) სლაიდშოუს, პლაკატის/პოსტერის სახით, რომლითაც მსოფლიოს/ევროპას დაუსაბუთებთ ჩვენი ევროპული არჩევანის საფუძვლებს.

რეკომენდაციები პირველი დავალებისთვის რეკლამის შექმნასთან დაკავშირებით:

პროდუქციის ან/და მომსახურების რეკლამირებისას შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა მეთოდი. გთავაზობთ რამდენიმეს:

უპირატესობები. აჩვენეთ თქვენი პროდუქციის უპირატესობა, ამისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შედარება. მაგალითად: ავილოთ ჩვეულებრივი თმის შამპუნი და თქვენი პროდუქცია... დაანახეთ მომხმარებლებს თქვენი პროდუქციის უპირატესობები.

გადაჭარბება. თუ პროდუქტის ან/და მომსახურებას აქვს რამე დადებითი თვისებები, მაშინ რეკლამის დროს ისინი უფრო უნდა გააზიადოთ.

სიტყვების თამაში. იშვიათად გვხვდება ვიდეო რეკლამაში, მაგრამ ხშირად გამოიყენება გარე რეკლამის დროს.

პრობლემის გადაჭრა. რეკლამირებადი პროდუქტი მომხმარებელს პრობლემის მოგვარების ყველაზე ეფექტურ საშუალებად უნდა წარუდგინოთ. პრობლემის მოგვარების პროცესი უნდა იყოს სახალისო და მოულოდნელი, რათა მომხმარებლებს დიდხანს დაამახსოვრდეთ.

გლობალური მოქალაქეობრივი კომპეტენციების თვითშეფასება

(ცხრილი გადაიტანეთ რეეულში და შეავსეთ)

კომპეტენციის დასახელება	შეფასეთ საკუთარი თავი 5-ბალიანი შეკალით (1 მინიმალური – 5 მაქსიმალური კომპეტენცია).	მოკლედ აღნერეთ არგუმენტი, შემთხვევა, მაგალითი, რამაც თვითშეფასების საფუძველი მოგცათ.	რის გაგებას ისურვებდით კონკრეტულ კომპეტენციასთან მიმართებით?	დასახეთ თვითშეფასების ამაღლების, გაუმჯობესების გზების თითოეულ კომპეტენციასთან მიმართებით.
ღირებულებები				
ადამიანის ღირსებისა და ადამიანის უფლებების დაფასება				
კულტურული მრავალფეროვნების დაფასება				
დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება				
დამოკიდებულებები				
კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლიშედველობების, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობა				
პატივისცემა				
მოქალაქეობრივი აზროვნება				
პასუხისმგებლობა				
თავდაჯერებულობა				

თავი 1 გლობალური მოქალაქეობა

უნარები				
დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები				
ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები				
მოსმენისა და დაევირვების უნარ-ჩვევები				
ემპათია				
მოქნილობა და შეგუების უნარი				
ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები				
თანამშრომლობის უნარ-ჩვევები				
კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები				
ცოდნა და კრიტიკული გააზრება				
საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება				
მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა, რელიგიის, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება				

დანართი

საქართველოს კონსტიტუცია (ამონარიდი)

მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერ-ნეტის თავისუფლების უფლებები

1. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გავრცელოს ინფორმაცია.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახ-ელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.

5. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრა-ტიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამქდავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

6. კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუნიკებლის დამოუკიდებლობას სახ-ელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან.

მუხლი 32. საქართველოს მოქალაქეობა

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლი-სა.

2. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაპადებით ან ნატურალიზაციით. საქა-რთველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი, სხვა სახელმწიფოს მოქალაქ-ისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პირობები და წესი და საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის ფლობის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით.

3. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

4. საქართველოდან საქართველოს მოქალაქეს გაძევება დაუშვებელია.

5. საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 33. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები

1. საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არ-მქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

2.. სახელმწიფო უფლებამოსილია კანონით დააწესოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე-თა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

თავი 1 გლობალური მოქალაქეობა

3. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით საქართველო თავშესაფარს აძლევს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

4. დაუშვებელია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების წინააღმდეგ პირის საქართველოდან გაძევება ან ექსტრადიცია.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ (ამონარიდი)

მუხლი 3. საქართველოს მოქალაქეობა

1. საქართველოს მოქალაქეობა არის საქართველოსთან პირის სამართლებრივი კავშირი.

2. საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა.

4. არავის არ შეიძლება შეეზღუდოს მოქალაქეობის შეცვლის უფლება, გარდა ამ კანონითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

მუხლი 4. საქართველოს მოქალაქეების სამართლებრივი მდგომარეობა

1. საქართველოს მოქალაქეები კანონის წინაშე თანასწორი არიან განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და ნებისმიერი სხვა ნიშნისა.

2. საქართველოს მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები.

3. საქართველოს მოქალაქეები ვალდებული არიან, დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები, მისი ტერიტორიული მთლიანობა და იყვნენ საქართველოს ინტერესების ერთგული.

4. საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს საქართველოს ტერიტორიაზე და მისი ფარგლების გარეთ იცავს საქართველო.

მუხლი 7. საქართველოს საპატიო მოქალაქეობა უცხოელს, რომელსაც თავისი სამეცნიერო ან/და საზოგადოებრივი საქმიანობით განსაკუთრებული დამსახურება აქვს საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლებითაც დაინტერესებულია საქართველო, და მისთვის საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს, შეიძლება მიენიჭოს საქართველოს საპატიო მოქალაქეობა მისი თანხმობით.

მუხლი 8. საქართველოს მოქალაქის ფიცი

პირი, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა ნატურალიზაციით მოიპოვა, გარდა ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ქართულ ენაზე დებს და ხელმოწერით ადასტურებს საქართველოს ერთგულების ფიცს: „მე, (სახელი, გვარი), ვხდები საქართველოს მოქალაქე და ვფიცავ, ერთგულად ვემ-

გლობალური მოქალაქეობა თავი 1

სახურო საქართველოს, დავიცვა მისი კონსტიტუცია და ყველა სხვა კანონი, საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა; საქართველოს სახელმწიფო ენად ვალიარებ ქართულს, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურს; ვალდებულებას ვიღებ, პატივი ვცე საქართველოს კულტურასა და ეროვნულ ტრადიციებს.“.

მუხლი 9. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების ფორმები

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება:
 - ა) დაბადებით;
 - ბ) ნატურალიზაციით.
2. ნატურალიზაცია ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებით.

3. ნატურალიზაციის სახეებია:

- ა) საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება;
- გ) საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება;
- დ) საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება.

მუხლი 10. საქართველოს მოქალაქეობის დაბადებით მოპოვება

- საქართველოს მოქალაქეობას დაბადებით მოიპოვებს:
- ა) პირი, რომლის დაბადების მომენტისათვის მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა;
 - გ) საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დაიბადა;

მუხლი 12. სრულწლოვანი პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება

1. სრულწლოვან პირს საქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 10 წლის განმავლობაში;

ბ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს სახელმწიფო ენა;

გ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები;

დ) საქართველოში მუშაობს, ან/და საქართველოში აქვს უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სამენარმეო საქმიანობას, ან საქართველოს საწარმოში ფლობს წილს ან აქციებს.

მუხლი 14. საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება

1. საქართველოს მოქალაქეზე დაქორნინებულ პირს, რომელიც კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 5 წლის განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეობა გამარტივებული წესით მიენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-

თავი 1 გლობალური მოქალაკეობა

12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

მუხლი 17. საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება

1. საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით შეიძლება მიანიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ინტერესების შეფასებისას, მათ შორის, მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები:

ა) სხვა ქვეყნის მოქალაქეს საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია და იგი ან მისი წინაპარი არის:

ა.ა) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ან ამ ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი;

ა.ბ) სხვადასხვა დროს პოლიტიკური მოსაზრებით ან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ემიგრაციაში წასული პირი;

ბ) სხვა ქვეყნის მოქალაქე საქართველოში ახორციელებს ისეთ ინვესტიციას ან მან საქართველოში განახორციელა ისეთი ინვესტიცია, რომლითაც სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ან შეიტანა;

გ) სხვა ქვეყნის მოქალაქე წარმატებულია სპორტის, მეცნიერების ან/და ხელოვნების სფეროში და მას სურს მოღვაწეობა საქართველოს სახელით განაგრძოს.

მუხლი 18. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება

1. საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით მიენიჭება პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა:

ა) არამართლზომიერად;

ბ) საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით;

გ) მშობლის/მშობლების არჩევანის შედეგად.

მდგრადი განვითარების მიზნები

1 სოციალური ურთიერთება	მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
2 არა მიმღება	მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.
3 ჯანმრთელი ცხოველების და კონტროლი	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.
4 ეროვნული განვითარება	მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.
5 განვითარების და უსამართლოების უფლება	მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება.
6 საზოგადო და სამიერადო	მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.
7 ენერგეტიკული და კლიმატური მდგრადი	მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.
8 ეკონომიკური კულტურული და სამუშაო	მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ლირსეული სამუშაო ყველასათვის.
9 ეკონომიკური, კულტურული და სამუშაო	მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.

თავი 1 გლობალური მოქალაკეობა

10  მასიურეალი ჰითონიზაცია	<p>მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.</p>
11  მდგრადი მართვის და განვითარების	<p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p>
12  მდგრადი მოხმარება და გარემონტი	<p>მიზანი 12: მდგრადი მოხმარება და წარმოება.</p>
13  კონაკრი ცვლილების საწინააღმდეგო კონფერენცია	<p>მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.</p>
14  იკვენისა და ზღვის გასერვაცია	<p>მიზანი 14: ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის.</p>
15  დაცვის ეროვნული პარკები	<p>მიზანი 15: სმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება.</p>
16  გვერდის სამართლებრივი მუსიკი და ცეკვები	<p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.</p>
17  პარტნიორის მონიტორინ გის დაცვა	<p>მიზანი 17: პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.</p>

ლექსიკონი

ავთენტური – E. authentic Fr. authentique ნამდვილი, სანდო, სინამდვილის შესაბამისი.

აპარტეიდი – Apartheid – რასობრივი დისკრიმინაციის ყველაზე სასტიკი ფორმა, რომელიც გარკვეული ჯგუფებისათვის სამოქალაქო, პოლიტიკური ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების აღკვეთაში გამოიხატება.

დომენი (domain) – ვებგვერდის სიმბოლური სახელწოდება, გამოიყენება სფეროს იდენტიფიკაციისთვის

ემპათია – სხვა ადამიანის თვალთახედვის, მისი ემოციური მდგომარეობის გაგებისა და გაზიარების უნარი.

ექსტრადიცია – ერთი სახელმწიფოდან მეორეში ძებნილი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის გადაცემის ფორმალური პროცესი.

თვითშეფასება – მე-კონცეფციის, პირადი ღირებულებებისა და კომპეტენტურობის განცდიდან გამომდინარე შეფასება.

ინდოქტრინაცია (ლათ. in — „შიგნით“ და doctrina — „სწავლება“, „თეორია“) — სახელმწიფოს ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ კომპლექსური რეკლამისა და პროპაგანდის მეშვეობით მოსახლეობის ცნობიერებაში შეხედულებათა გარკვეული სისტემისა და სტერეოტიპების ჩანერგვა და ჩამოყალიბება. ინდოქტრინაციის მიზნით, როგორც წესი, გამოიყენება მასშედია და განათლების სისტემის ინსტიტუტები — სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები და ა. შ.

ინკლუზია – ნიშნავს ჩართვას.

ინტეგრაცია – ცალკეული ელემენტების გაერთიანებისა და კოორდინირების პროცესი.

კოსმოპოლიტიზმი – მსოფლიო მოქალაქეობის იდეოლოგია, რომელიც კაცობრიობის ინტერესებს ცალკეული ერის ინტერესებზე მაღლა აყენებს.

ლიბერალიზაცია – რაიმე საქმიანობაზე შეზღუდვათა შემცირება ან მოხსნა.

მულტილინგვიზმი – ინდივიდის მიერ ორი ან მეტი ენის ცოდნა.

ნარატივი – სამყაროს აღქმის ისტორიულ-კულტურული ინტერპრეტაცია გარკვეული პოზიციიდან, თხრობა მხატვრულ ნაწარმოებში.

პროპაგანდა – ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი საკომუნიკაციო ფორმის გეგმაზომიერ გამოყენებას ადამიანთა გონებაზე, ემოციებსა და ქცევაზე ზემოქმედების მიზნით.

რეკლამა – ინფორმაციის გადაცემის ერთ-ერთი სახეა სავაჭრო საქმიანობაში. სარეკლამო საქმიანობის მთავარი მიზანია ადამიანების მოზიდვა ამა თუ იმ პროდუქციის შესაძენად, რაც მომხმარებელზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით ხორციელდება.

რეპორტაჟი – საგაზიეთო და საურნალო სტატია, რადიო და სატელევიზიო გადაცემა ან კინოსურათი, რომელშიც თვითმხილველის მიერ მოთხრობილია ადგილობრივ მომხდარი ფაქტი, შემთხვევა.

თავი 1 გლობალური მოქალაქეობა

სეგრეგაცია (E. Segregation) – რაიმე ნიშნის (კანის ფერი, ენის, ეთნიკური წარმომავლობისა და სხვა) საფუძველზე რომელიმე ქვეყნის მიერ საკუთარი მოსახლეობის მიზანდასახული გამიჯვნის პოლიტიკა.

ტყის არამერქნული რესურსები – სოკო, სამკურნალო ნედლეული, სხვა ბალახოვანი მცენარეები და მათი ნაწილები, ბუჩქოვანი მცენარეების ნაწილები და მათი პროდუქტები, რომელთა შემადგენლობაში არ არის მერქანი;

შენგენის ზონა – ტერიტორია, რომელიც მოიცავს 26 ევროპულ ქვეყანას, ამ ქვეყნებმა ოფიციალურად გააუქმეს ყველა სახის სასაზღვრო კონტროლი ერთმანეთის საზღვრებზე. უვიზოდ გადაადგილების შეთანხმებაზე ხელშეკრულება ამ ქვეყნებს შორის გაფორმდა 1985 წელს სოფელ შენგენში (ლუქსემბურგი), ამიტომ ეწოდა შენგენის ზონა.

ჩეკისტი – პირველი საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომელი.

წყაროთმცოდნეობა — მეცნიერება ისტორიული წყაროების გამოვლენის, კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის, მათი ანალიზისა და გამოცემის მეთოდიკისა და თეორიის შესახებ.

ჰომოგენური საზოგადოება – რომელიც არ შეიცავს შედგენილობის ან თვისებების მიხედვით განსხვავებულ და ერთმანეთისგან გაყოფის ზედაპირებით განცალკევებულ ნაწილებს. (?)

ჰუმანიზმი (ლათ. *humanus*, ადამიანისეული, ადამიანური, განათლებული) – ფართო გაგებით — ისტორიულად ცვალებად შეხედულებათა სისტემა, რომელიც ძირითად ღირებულებად თვლის ადამიანის პიროვნებას, აღიარებს მის უფლებას ბედნიერებაზე, თავისუფლებაზე, თანასწორობასა და ყოველგვარი უნარის გამოვლენაზე.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს ორგანული კანონი „ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“

ვიკიპედია – თავისუფალი ენციკლოპედია

სამოქალაქო განათლების ლექსიკონი – <http://www.nplg.gov.ge>

საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/> – ბოლო ნახვა 25.02.2022 წ.

რომის სამოქალაქო სამართალი, გიორგი ნადარეიშვილი, 2005 წ. – ბოლო ნახვა 22.02.2022 წ.


ორმაგი მოქალაქეობა თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში, ნინო სულაბერიძე, თბილისი 2018 წ. – ბოლო ნახვა 20.02.2022 წ.

მასწავლებლის გზამკვლევი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სამოქალაქო განათლების კურსი – ქეთევან მუხიგული, თამარ ქვარაია. საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES), 2021წ. – ბოლო ნახვა 2.03.2022 წ.

ციფრული მედეგობა (სახელმძღვანელო) – , ევროპის საბჭო. – ციფრული მედეგობა, – ევროპის საბჭოს განათლების დეპარტამენტი – ევროპის საბჭოს გამომცემლობა, F-67075 Strasbourg Cedex <http://book.coe.int> ISBN 978-92-871-9164-9 © ევროპის საბჭო, ოქტომბერი 2021 Licensed to the European Union under conditions. – ბოლო ნახვა 3.03.2022 წ.

კურს „დემოკრატია და მოქალაქეობის“ ფარგლებში შესრულებული სტუდენტთა საუკეთესო სამოქალაქო ჩართულობის პროექტების კრებული, 2016 წ. – ბოლო ნახვა 25.03.2022 წ.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები – თანაცხოვრება კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებაში, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, F-67075 Strasbourg Cedex, <http://book.coe.int>, www.coe.int © ევროპის საბჭო, 2016 წლის მარტი. – ბოლო ნახვა 29.03.2022 წ.



დაფინანსებულია „მოსწავლეებისა და
მასწავლებლების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში